ფასი 10 კაპ. პარასკევი, 1917 წ. მკათათვის 28 (10)

საქართველო

ხელის მოწერა და ფასიანი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციისა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ უკან მიებმევდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, почт. ящикъ № 76

ტელეფონი 15—73

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით 1 გვ. ფურცელზე 20 კ., ორ გვ. ფურცელზე—20 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირს 50 კ. 4-ზე 30 კ., ტექსტში—80 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 6 მ.; 20×2 ღირს 8 მ., 25×2 ღირს 10 მ. 3 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ღირ. მეტი.

თვიურად გაზეთი ღირს 2 მანეთი. მხოლოდ ქალაქში. ქალაქ გარეთ გაზეთი ეროი თვით არ გაიგზავნება.

№ 164 ეროვნულ-დემოკრატიული გაზეთი № 164

გაზეთის შინაარსი

საგულისხმო ცნობები

რიგის ზღვის ყურეში გერმანელთა დიდი ზვერვა და მოქმედებაა.

კადეტებმა უკვე დაასახელეს თავიანთი კანდიდატები დამფუძნებელ კრებისათვის.

ირ. წერეთელმა უარი უთხრა კერენსკის ახალ სამინისტროში მინისტრად შესვლაზე.

ყაზახები პროტესტს აცხადებენ მიწის სოციალიზაციის წინააღმდეგ.

მთავრობამ დაამტკიცა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის კანონ-პროექტი.

ყაზახებს სურთ მილიციის მაგიერობა გასწიონ ქალაქებსა და დაბებში.

ზოგიერთ ყაზახთა სტანიცაში რეაქციული მოძრაობა დაწყებულა.

წერილები

მეთაური. ავტოკეფალიის დამტკიცება.
ი. ელიავშვილი. სამკურნალო საქმე საქართველოში.

კ. გამსახურდია. რუსეთი და ევროპა.
ი. ჭუბინია. შინ და გარეთ.

გერმანეთი და ზავი.

რუსეთის ვაჭ.-მრეწველების კავშირის დადგენილება.

ინგლისის მეფის გვარის გამოცვლა.

კნ. ელენე ივანეს ასული და თავ. ნიკოლოზი ივანეს ძე მაჩაბლები, კნეინა ნინო ალექსანდრეს ასული წერეთლისა და თავ. გიორგი ალექსანდრეს ძე ბაგრატიონ-დავითიშვილი გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ დაუვიწყარ კნეინა

ანასტასია ალექსანდრეს ასულის

მაჩაბლის

გარდაცვალებას.

პანაშვიდი საღამოს 7 საათზე ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში. წირვა და ანდერძი იქვე. დასაფლავება შაბათს ვერის წმ. ნიკოლოზის სასაფლაოზედ. 2—732—1

ახალი საკრებულო

საზაფხულო სადგომი, მიხეილის ქუჩა № 131.
(ყოფილი ხარფუხის კლუბი)

პარასკევს, 28 ივლისს 1917 წელს

ლექტორი მოსკოვის გუბერნიის სოფლიზლის საზოგადოებისა

ვ. ო. ურუშაძე

წაიკითხავს ლექციას რუსულ ენაზედ შემდეგ თემაზედ:

„ქალაქის თვითმართველობის დემოკრატიზაცია“...

ლექციის შემდეგ **კამათი.**

წინდა შემოსავლის 10 % გადაიდება წიგნების შესაძენად ჯარისკაცთა და გლეხთათვის.

დასაწყისი საღამოს 9½ საათზედ. (1—717—1)

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის

1-ლი უბნის კომიტეტი

ამით აუწყებს წევრთა და თანამოაზრეთა, რომ პარასკევს 28 მკათათვეს, საღ. 8 საათზე, ქართულ გიმნაზიაში დანიშნულია

საზოგადო კრება

საკითხი—ქალაქის არჩევნები.

მიიღება ხელის მოწერა ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო ქუთაისის გაზეთზე

1917 წ. **ჩვენი ქვეყანა** 1917 წ.

გაზეთის ფასი: წლიურათ 15 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 1 მან. და 50 კაპ. წლიური ხელის მომწერელებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათაც გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 5, სამი თვის შემდეგ კიდევ 5 მანეთი და დანარჩენიც სექტემბრის დასაწყისამდი.

რედაქციის მისამართია: ქუთაისი, თბილისის ქ. სოფ. მიქელაძის სახ., კანტორა ღიაა: დილით 9—2 საათ. და საღამ. 5—8-მდი.

რედაქტორი **დ. კვირკელია.**

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია

გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს თავისუფალ რუსეთში!

ქართველნო მოქალაქენო!

მიეცით ხმა საქართველოს ეროვ.-დემოკრატიულ პარტიის საარჩევნო სიას!

№ 2.

ქართველნო მოქალაქენო!

ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას

მიზნად აქვს სახელმწიფოებრივ ცხოვრების აღდგენა საქართველოში და დამყარება მაში დემოკრატიულ რესპუბლიკისა.

იგი მოითხოვს ვრცელ უფლებიან ავტონომიას სრულიად საქართველოს საზღვრებში.

იგი იცავს თავისუფლებას და თანასწორობას ყოველ მოქალაქესათვის განურჩევლად ეროვნებისა, სქესისა და სარწმუნოებისა.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია ერთად-ერთი არა-სოციალისტური ეროვნული პარტიაა საქართველოში:

იგი იცავს **კერძო საკუთრებას**, რადგანაც კერძო საკუთრება—საფუძველია თავისუფლების, თაოსნობის და შემოქმედებისა, მაშასადამე, საფუძველი ერის სიმდიდრის და განვითარებისა.

იგი იცავს მშრომელ ხალხს, სოფლისას და ქალაქისას, ვინაიდგან ყოველი მუშა—შემოქმედი ნაწილია ეროვნული ორგანიზმისა.

იგი იცავს შრომას, ვაჭრობას და მრეწველობას, რომ ცხოვრების ყოველ დარგში აღიძრას და დატრიალდეს ეროვნული ენერგია და მისი ნაყოფი დარჩეს ისევე საქართველოს.

დროა მოისპოს ქართველი ერის ძარცვა და ყვლეფა, მონობა და ექსპლოატაცია.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია ჰქადაგებს ერთობას და ებრძვის ყოველგვარ გამთიშავ ძალებს.

იგი არ იზიარებს სოციალისტურ მოძღვრებას და მოქმედებას და ებრძვის კლასთა ბრძოლის გამწვავებას, ვინაიდგან ეს გამწვავება ჰღრღნის ერთობას, ასუსტებს ძალებს, ჰშლის და არღვევს ეროვნულ ორგანიზმს. ჩვენ გვინდა ერთობა და არა ერთმანეთის მტრობა. ეხლანდელ ისტორიულ მომენტში შინაური განხეთქილება საშიშია და სახიფათო უმისოდაც დასუსტებულ საქართველოსათვის.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტია კარგად ჰხედავს, რომ საქართველოს გარს ახვევია უცხო ერები და ჰსურდილობს დაამყაროს მათთან კეთილი განწყობილება მორიგებით და შეთანხმებით.

ქართველო მოქალაქენო! მოახლოვდა თბილისის არჩევნებიც.

თბილისი—დედაქალაქია საქართველოსი.

მისი მოწყობა და გამშვენიერება პირდაპირი და წმიდა ვალია ყოველი მამულიშვილისა.

წყალი, ჰაერი, ქუჩა, ბაზარი, ბინა, სანოვაგე, მიმოსვლა, განათება და განათლება... ერთის სიტყვით ქალაქის მოთხოვნილება ათასფერია და ათასნაირი. ეს მოთხოვნილებანი უნდა იქმნას დაკმაყოფილებული, თბილისი უნდა დაედგაროს ნივთიერ და კულტურულ მოწყობილებით საუკეთესო ევროპიულ ქალაქს, ვინაიდან თბილისი, როგორც დიდი ცენტრი, იზიდავს მრავალ მშრომელ ხალხს, რომლის სულიერი და ნივთიერი მოთხოვნილების დაკმაყოფილება უნდა იყოს უმთავრესი მიზანი დემოკრატიულ პარტიის მუნიციპალურ პროგრამისა.

მაგრამ ქართველ კაცისთვის ქალაქის არჩევნებში, გარდა მუნიციპალურ მოთხოვნილებისა, კიდევ არის სხვა აზრი უფრო ღრმა, უფრო მწვავე და საბედისწერო.

თბილისში ბევრია საქართველოს მშრომელი ხალხი, თბილისს გარს ახვევია ქართველი ერი. თბილისი ცენტრია ნივთიერი და სულიერი მთელი საქართველოსი. მაში ჰდუღს და მიმდინარეობს განუწყვეტელი გაცვლა-გამოცვლა არა მარტო ნივთიერ ნაწარმოებისა, არამედ აგრეთვე აზრის და გრძნობისა, ნების და სულის კვეთებისა, თბილისი და საქართველო მოქცეულია ერთ და იმავე ეროვნულ ცნობიერებაში: აქ არის კვანძი მთელი ერის ნერვიულ სისტემისა.

თბილისის დაკარგვა—თავის მოჭრაა... მაშასადამე სიკვდილი მთელი ქართველი ერისა.

ქართველნო მოქალაქენო! ჩაუკვირდით ამას და თუ ცოტათი მაინც შეგრჩენიათ ქართული სული, ადექით, გამოდით სახლიდან და მიიღეთ მონაწილეობა კვირას, 30 ივლისს, ჩვენი დედაქალაქის არჩევნებში.

მიეცით ხმა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის საარჩევნო სიას.

№ 2.

საქართველოს ეროვ. დემოკ. პარტიის

მთავარი კომიტეტი

საქართველოს ეროვნულ-დემ. პარტიის თბილისის ქალაქის ხმოსანთა კანდიდატების სია.

1. **ჟურული** გიორგი დურმიშხანისძე—ქალაქის ხმოსანი. ქალაქის საბჭოს წევრი.
2. **გვაზავა** გიორგი ბეჟანის ძე—ნაფიცი ვექილი.
3. **კედია** სპირიდონ მალხაზის ძე—პუბლიცისტი.
4. **ქიქოძე** გერონტი დიმიტრის ძე—პუბლიცისტი.
5. **ვეშაპიძე (ვეშაპელი)** გრიგოლ გიორგის ძე—გაზეთ „საქართველოს“ რედაქტორი.
6. **მაჭავარიანი** იოსებ კონსტანტინეს ძე—ნაფიცი ვექილი.
7. **ლორთქიფანიძე** იასონ მერაბის ძე—ამიერ-კავკასიის ბანკის გამგე.
8. **გოთუა** პართენ ალექსანდრეს ძე—სამეურნეო ბანკის დირექტორი.
9. **ვაჩნაძე** დავით ვლადიმერის ძე—ჟურნალისტი, კოოპერატორი.
10. **ივანიცკი** რაფაელი ალექსანდრეს ძე—(**რ. ინგბილო**) სამართლის კანდიდატი.
11. **გერელაშვილი** ვასილ გერასიმეს ძე—კომერსანტი.
12. **ასათიანი** ალექსანდრე სამსონის ძე—ჟურნალისტი, ნაფიცი ვექილის თანაშემწე.
13. **წვერავა** ნიკოლოზ ესტატეს ძე—ხმოსანი ქ. თბილისის.
14. **ქურდიანი** გიორგი ზაქარიას ძე—ინჟინერი.
15. **თაყაიშვილი** ექვთიმე სიმონის ძე—ისტორიკოსი, თავმჯდომარე საქ. საეთნოგრაფიო საისტორიო საზოგადოებისა.
16. **ელიაშვილი** ივანე სპირიდონის ძე—ექიმი.
17. **მამრაძე** პეტრე გრიგოლის ძე—ინჟინერ-ტეხნოლოგი.
18. **ჯავახიშვილი** დიმიტრი ვასილის ძე—ექიმი.
19. **გაბაშვილი** ლეონიდე ალექსანდრეს ძე—კოოპერატორი) ჟურნალისტი.
20. **თუმანიშვილი** პავლე იოსების ძე—ნაფიცი ვექილი.
21. **მაჭავარიანი** გიორგი ლუარსაბის ძე—ნოტარიუსი.
22. **ერისთავი** დომინიკა ზურაბის ასული—(**ბანდეგილი**, —მწერალი.
23. **ჩიჯავაძე** თამარა დავითის ასული—მასწავლებელი.
24. **დუმბაძე** დიმიტრი მოსეს ძე—პედაგოგი.
25. **ბუნცაძე** ირაკლი ალექსანდრეს ძე—ნაფიცი ვექილი.
26. **ქვარიანი** სიმონ ალექსის ძე—აგრონომი.
28. **გაბუნია** სილოვან გრიგოლის ძე—ნაფიცი ვექილი.
29. **კახიძე** ვასილი ბესარიონის ძე—ხარჯთა კრების ინსპექტორი.
30. **გველესიანი** იოსებ იოსების ძე—კომერსანტი.
31. **მერკვილაძე** იოსებ ნიკოს ძე—„თბილისის წვრილ ვაჭართა საზოგადოების თავმჯდომარე“.
32. **თიკანაძე** ივანე ელიშუხის ძე—ექიმი.
33. **მაღალაშვილი** ივანე გრიგოლის ძე—ნაფიცი ვექილი.
34. **ვაჩნაძე** ლევან ალექსანდრეს ძე—ხმოსანი (ქალაქის)
35. **მერკვილაძე** ნოშრევან ნიკოლოზის ძე—ხელოსანი.
36. **ბერძნიშვილი** ივანე სიმონის ძე—ხელოსანი.
37. **ივანიცკი** ვახტანგ აპოლონის ძე—მთის ინჟინერი.
38. **ხახუტაშვილი** ნიკოლოზ ანტონის ძე—ვაჭარი.
39. **გარაყანიძე** ვასილი ავთანდილის ძე—ბუღგალტერი.
40. **ჭყონია** სეონ შერვანდინის ძე—კომერსანტი.

ქართველნო ამოქმრწევენო

ვინც თბილისიდან გასულნი ხართ **დაბრუნდით** თბილ სფი.

ამ თვის 30-ს კვირას საქალაქო არჩევნებია

არ დაგვიკარგოთ თქვენი ხმა;

ეიძლება ერთი ხმის დაკარგვამ ქალაქს დააკლოს ერთი ქართველი ხმოსანი

თბილისი, მკათათვის 28.

ავტოკეფალიის დამტკიცება

ტელეგრაფის ცნობით, ახლად შედგენილ სამინისტროს პირველსავე კრებაზე საქართველოს ავტოკეფალიის კანონპროექტი მიუღია. მართლაც, რომ დროა!

უკვე სამი თვე სრულდება, რაც საქართველოს ეკლესიის მმართველობამ ავტოკეფალიის ძირითადი დებულებანი შეადგინა და წარუდგინა იგი დასამტკიცებლად დროებით მთავრობას.

უკვე სამი თვეა, რაც რუსეთის მთავრობამ ვერ ჰქნა და ვერ მოიცალა ამ საკითხის განხილვისათვის.

ამასობაში საქართველოში ეკლესიის საქმეები თან და თან იწყებოდა რუს იერარქოსთა წყალობით: მოვიგონოთ რუსულ-ქართულ მრევლთა გამიჯვნის საკითხი. ქართველ სამღვდელოების ხელები კი შებოჭილი იყო, რადგან მას არ მოეპოვებოდა თავის უფლებრივი და მატერიალური სამართლის დამცველი კანონდებულება.

ბევრი გამოცდა ჰხვდა წილად მრავალ-ტანჯულ ივერიის ეკლესიის მწყემსებს, უმცროსებს. უფრო მეტი, ვიდრე უფროსებს—მაგრამ მათმა ეროვნულმა სვინდისმა გაიმარჯვა დროებით სულისკვეთებაზე და ქართველი სამღვდელოება დღესაც გულგაუტეხელი უდგას გუშაგად ეროვნულ ეკლესიას.

დღეიდან საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი სახელმწიფო კანონის უფლებრივ ძალასაც დაეყრდნობა. მაგრამ ბრძოლა საქართველოს ეკლესიის უფლებისათვის ჯერ კიდევ არ დამთავრებულა. ჩვენ არ ვიცით თუ როგორი საავტოკეფალო კანონი დამტკიცა დროებითმა მთავრობამ.

თუ დროებითი მთავრობის კანონი ისევე ამახინჯებს საქართველოს ეკლესიის მმართველობის განშედგენილ დებულებას, როგორც ეს „უწმიდეს“ სინოდს სწადდა, მაშინ საქართველოს ეკლესიის საკითხი ისევ ისე მწვავე საკითხად რჩება და მისთვის ბრძოლა კიდევ უნდა გაგრძელდეს.

ჩვენ ვშიშობთ, რომ დროებითი მთავრობის ავტოკეფალია სწორედ დამახინჯებული ავტოკეფალია არის, და აი რატომ:

20 მკათათვის პეტროგრადის გაზეთებში გამოქვეყნებულია სინოდის მიერ დამტკიცებული დებულება რუსულ ეკლესიის ეგზარხატისათვის კავკასიაში. ამ დებულების პირველი მუხლი ამბობს, რომ კავკასიის რუსულ ეკლესიის საეპისკოპოსოს შეადგენს როგორც მართლმადიდებელი რუსობა, აგრეთვე ამის მოსაზრნე სხვა არა-ქართული ტომის ხალხები.

მეორე მუხლი ამბობს, რომ რუსის ეპეზარხოსის კათედრა თბილისში უნდა იმყოფებოდესო.

მესამე კი გვამცნობს, რომ რუსის ეპეზარხოსს „თბილისის მიტროპოლიტის“ სახელწოდებაც აქვსო.

ასეთი დადგენილებით სინოდს ის უნდოდა ეთქვა, რომ ქართველ კათოლიკოსს უფლება არ ეძლევა „თბილელის“ სახელწოდებისა, იგი უნდა მცხეთით დაკმაყოფილდეს და თბილელის ტიტულის კათედრა და შეიძლება თვითონ სინოდიც „ტფილისკი მიტროპოლიტს“ უნდა ეწოდოს.

ქართული ეროვნული სვინდისი ვერ მოითმენს ასეთ უკადრისობას და შეურაცხყოფას და სინოდს იმას მოახსენებს, რომ მას უფლება არ აქვს ავტოკეფალურ ქართულ ეკლესიის საქმეებში ჩაევლისა.

მაგრამ რუსეთის დროებით მთავრობას რაღა უთხრათ?

რა უთხრათ იმ „პრეზიდენტ“ კერენსკის, რომელსაც ხელი უწერია ფინლიანდიის ავტონომიის და უკრაინის „ოადას“ კანონზედ და რომელიც საქართველოსათვის თავისუფალ ეკლესიაზედ ყოყმანობს?.

ნუთუ რუსეთის ახალი „ნაციონალური კაბინეთი“ კიდევ ერთ მძიმე გამოცდას უმზადებს „კეთილშობილ, რაინდ, მაგრამ... გულუბრყვილო“ საქართველოს?

სამეკურნალო საქმე საქართველოში*)

(დასასრული)

ლოგინად მიგდებულია და ორისავე ფეხით სამაგრში ჩამდგარ ადამიანისათვის რაღა საჭიროა ახ პოლიტიკური ფორმები და ან სოციალური ოეფორმები? ჯერ და უპირველესად თუ აია, ერთდროულად მაინც წამოაყენეთ ფეხზე ეს მწოლიარე ავადმყოფი, შეხსენით სენისაგან ხელფეხზე დადებული ბორკილებიც, აამოძრავეთ ფიზიკურად და გაუშვით თავისუფალ გზაზე.

მე აქ არ დავიწყებ იმის მტკიცებას, თუ რად უჯდება საზოგადოებასა და სახელმწიფოს დაავადებულ-დასნეულებული ადამიანი. ეს ამბავი—არ ახალია, ძველია და ყველას კარგად მოეხსენება.

ჩვენ კარგად ვიცით, რომ მთელი ქუთაისის გუბერნიის უმეტესი ნახევარი, მთელი ბათომისა და სოხუმის ოლქები და კახეთი მალარიით იტანჯება და იხრწნება. ჩვენ კარგად ვიცით, რომ მუდმივის შიმშილობისა და მალარიის გამო მთელს საქართველოში მძიმენარებს უსაშინელესი სენი—ტბელეკი. ჩვენ კარგად ვიცით, რომ მთელს საქართველოს მიდამოზე თავისუფლად თარეშობენ ყოველგვარი გადამდები სენები და მათ შორის უმთავრესად საოფლე, ქუნთრუშა, ხუნაგი, ყვავილი და სხვა და სხვა.

ჩვენ კარგად ვიცით, რომ, როცა ქალაქები სავსეა მკურნალებით, სოფლებში არა თუ მკურნალები, ფერშლებიც კი დღისით ფარნით საძებარნი ხრიან.

ჩვენ კარგად ვიცით, რომ არც ერთს კულტურულ ხალხს ისე ადრე არ ესწრაფება სიცოცხლე, როგორადაც ქართველებს.

ჩვენ კარგად ვიცით, რომ ბავშვთა სიკვდილის სიხშირე ისე არსად არაა დიდი, როგორადაც ქართველობაში.

ჩვენ კარგად ვიცით, რომ ხალხის ფიზიკურ გადაგვარებას არსად არა აქვს ისეთი სარბიელი, როგორადაც საქართველოში.

ჩვენ კარგად ვიცით, რომ ისეთი უმეცრება სამკურნალო და სასანიტარო საქმეში, როგორც საქართველოშია, არსად არ მოიპოვება.

ჩვენ მრავალი სხვა რამეც ვიცით, მაგრამ არ გვინდა თავი შევაწყენინოთ მკითხველს. ამ ხანად ესეც საკმაოა გასაოცებლად და დასაღონებლად.

არც რეცეპტების წერით შევაწუხებთ მკითხველს, თუნმც თავის დროზედ რეცეპტის დაწერაც საჭირო იქნება.

ამ ხანად ჩვენ გვსურს მხოლოდ ერთის შეკითხვით მივმართოთ კავკასიის საგანგებო კომიტეტს:

თუ კი მან სცნო საჭიროდ იყოლიოს სამეწყალო, სამსჯავრო, საეროვნო, სამოსწავლო და სხვა და სხვა კომისიები, ნუ თუ სამკურნალო-სასანიტარო საქმე იმოდენად უმნიშვნელოა ქვეყნისათვის, რომ ასეთი კომისია მან არა სცნო საჭიროდ ამ თავითვე დაეარსებინა სხვებთან ერთად მაინც? და თუ არსებობს ამგვარი კომისია, ვისგან არის იგი შემდგარი და ან რას აკეთებს იგი?.

როცა ამ კითხვებზე გვიპასუხებენ (თუ გვაღირსებენ პასუხს), მაშინ ჩვენ, ჩვენის ძალ-ღონის დაგვარად, შეეცდებით აღვნუსხოთ ის ღონ-ძიებანი, რომელნიც უთუოდ უნდა დაედოს ამ კომისიას სახელმძღვანელოდ და დაუყოვნებლივ ცხოვრებაში გასატარებლად. ეს ერთი.

მეორეც ისა, რომ ქართველ მკურნალთა და შუნებისმეტყველთა საზოგადოებამ გადასწყვიტა ახლო მომავალში მოიწვიოს ქართველ მკურნალთა, ფერშალთა და ბებიათა საერთო კრებულობა და განიხილოს მრავალი საჭირბოროტო სამკურნალო, სასანიტარო და საპროფესიონალო საკითხები. ფრიად საჭიროა, მოწვეულნი უთუოდ დაესწრონ ამ დიდად საყურადღებო კრებულობას და შეიტანონ თავიანთი წვლილი ამ ყოველისავე შეგნებული ქართველი კაცისათვის სანუკვარ საქმეში.

აგრეთვე ფრიად საჭიროა ყოველმა პოლიტიკურმა პარტიამ წარმოგზავნოს ამ კრებულობაზე თვისი დელეგატი მრავალ საგულისხმიერო საკითხთა წამოაყენებლად გასაშუქებლად.

იმედია, ამ კრებულობას უყურადღებოთ არ დატოვებს კავკასიის საგანგებო კომიტეტიც და ისიც წარმოგზავნის ამ კრებულობაზე თვის დელეგატს, ანუ რწმუნებულ პირს.

აუცილებლად მოვალენი არიან ამ კრებულობას დაესწრნენ ის მკურნალები, რომელნიც დღესდღეობით სამკურნალო-სასანიტარო საქმეს სათავეში უდგანან და ასე თუ ისე განაგებენ ამ ქვეყნის საქმეს. მათ აშკარად უნდა ჰქონდეთ წარმოდგენილი, რომ კრებულობა აუცილებლად შეეხება მათ დღევანდელსა და წარსულს მოღვაწეობას, რომ მათი იქ ყოფნის დროს კრებულობას უფრო ფართო გზა მიეცემა და საშუალება ლირსეულად და წესიერად გააკრიტიკოს მათი მოქმედება.

აგრეთვე აუცილებლად საჭიროა ქართველ მკურნალთა და ბებიებისმეტყველთა საზოგადოებამ ფართოდ აუწყოს საერთოდ ქართველ საზოგადოებას ამ კრებულობის დღე, ადგილი და წესრიგი.

მკურნალი ივანე ელიავშვილი.

P. S. იმედია, თბილისის გუბერნიაში მოსამსახურე მთლიანად მკურნალ-ფერშალ-ბებიათა პერსონალი მიიღებს მონაწილეობას ამ კრებულობაში და შემოიტანს აქ იმ თავიანთ საჭირბოროტო საკითხებს, რომელთა შესახებაც მათ ამ მოკლე ხანში შ ნაურულად მოლაპარაკება ჰქონდათ თბილისში. ე. ი.

ომი და ზავი

დეპეშები

რუსეთის ბანაკის ცნობა.

პეტროგრადი. ოფიციალი. დასავლეთის ფრონტი. ბროდის სამხრეთ-დასავლეთით, დუბნო-ზარკუფის სოფლების რაიონში მტერი საარტილერიო ცეცხლს ანთებს. გრეიმალოვის სამხრეთით ჩვენმა მოწინავე ნაწილებმა მტრის მცველები შეავიწროვეს. ზბრუჩის დასავლეთ რაიონებში მტრის ჯარი მინდვრებს მკის. სერეტის ღელეში და უმთავრესად მდ. სუჩავასთან. მტერი ჩვენ ჯარს ახევინებს. მტერმა დაიპირა შემდეგი სოფლები: ვოსკოუტკი, სატულმარი, ბადაუცი, ბერლანი და გლიტი.

რუმინეთის ფრონტი. კომპოლუნგის მიმართულებით ბრძოლის შემდეგ საოგურ მოლიტის სამხრეთით მდებარე სიმაღლეები დაიპირა (?) ამ რაიონში ძლევა მოსილობა გამოიჩინეს 280 ქვეითი პოლკის სასწავლო კომანდამ, რომელსაც კაპიტანი ლუშკინი უფროსობდა. ორმა ჩვენმა ტყვიის მფრქვეველის ზედამბედველებმა, ეფრეიტორ პრეცენკომ და ჯარის კაცმა ვალკტრუბემ ავსტრიელების მზვერავები ჩამოიყვანეს ტყვედ. მათში 3 ოფიცერია და 12 ჯარისკაცი. ძეზინეს დასავლეთ რაიონში მტრის იერიშები მოგიგერიეთ. მდ. ბისტრიცაზე, კოტერგაში—პოლიანა—გოსჩეის რაიონში, ჩვენ ერთ-ერთ დივიზიის ორმა პოლკმა თავის ნებით დასტოვა ასპარეზი და ზურგისკენ წამოვიდა. ამის გამო ჩვენი ჯარი ხსენებულ რაიონიდან რამდენიმე ვერსით აღმოსავლეთისკენ წამოვიდა. ფოკშანის მიმართულებით მტერმა, საარტილერიო სამზადისის შემდეგ, ფოკშანი—მერეშესჩის რკინის გზის და ფოკშან ჩიუსლეს გზატკეცილის მიყოლებით რამდენიმე იერიში მოიტანა. მკათათვის 24-ს მტერმა ამ რაიონში ჩვენი ასპარეზი დაიპირა. ჩვენები მდინარე ტრილა-დე-სუს გადმოვიდენ.

კავკასიის ფრონტი უცვლელადაა.

მფრინავთა მოქმედება. ჩვენმა მფრინავებმა სადგურ ბარანოვიჩს ყუმბარები ესროლეს. ალაგ-ალაგ ნიშანშიც მოარტყეს.

ბალტიის ზღვა. მკათათვის 22 და 23 მტრის თვითფრინავები რამდენჯერმე შემოფრინდაენ რიგის ზღვის ყურეში. დიდი ზვერვა და მოქმედებაა.

მფრინავების მოქმედება.

პეტროგრადი. მკათათვის 25. შაბათს და კვირას მტრის 8 ყუმბარებით გამანადგურებელმა ჰაეროპლანმა მოახდინა მთელი რიგი თავდასხმა რიგის ზღვის კუნძულებზე და ჩამოგდო 50 ყუმბარა, მაგრამ ზიანი კი ვერ მოგვაყენა, მოეკიდა ცეცხლი მხოლოდ ერთს სამგზავრო გემს, მაგრამ ხელად ჩავაქრეთ. უკანასკნელ ხანებში გერმანეთის ჰაეროპლანებმა საზოგადოთ გაახშირეს დაზვერვა რიგის ყურის იმ ნაწილებში, სადაც სდგას ჩვენი ფლოტი.

რომი. მკათათვის 26. ცნობა იტალეთის ბანაკიდან. ტრენტინოში ჩვენ გავფანტეთ მზვერავთა რამდენიმე რაზმი. ჩვენი მზვერავები რამდენსამე ადგილას მოსვენებას არ აძლევდენ მტერს და წამოიყვანეს ტყვეები. კარნიაში უკუ ვაგდეთ მტერი, რომელიც სცდილობდა შეტევას ჩვენი პოზიციებისათვის კრანადას მთაზე. იულიუსის ალპებში მტერი დ ეინებით სცდილობდა წაერთმია ჩვენთვის მოწინავე პოზიციები რომბონის მთაზე, მაგრამ უკუ ვაგდეთ კონტრიერიშით. ჩვენ დავიკავეთ ბოსკომალოს სამხრეთ-აღმოსავლეთით რამდენიმე ადგილი ფლონდარას ახლო ჩვენმა რაზმმა წამოიყვანა ტყვეები.

ჩინეთი და გერმანეთი

პეკინი, მკათათვის 21. (დაგვიანებულია). კაბინეტმა წარუდგინა თავმჯდომარეს გადაწყვეტილება— დაუყოვნებლივ გამოეცხადოს ომი გერმანიას. ომის გამოცხადებას მოელიან ამ დღეებში.

ნიუიორკი. მკათათვის 23. „ასოსიატედ-პრესს“ იტყობინება, რომ საზღვაო სამინისტრომ დაადგინა—ჩამოართვას პატრონებს ყველა ის გემები, რომლებიც ამ ჟამად კეთდება ამერიკის ნავთსაშენებლებში და მიღებულ იქნას ზომები მათ საჩქაროდ დასრულებაზედ.

გერმანეთი და ზავი

სტოკჰოლმი. როგორც ბერლინიდან ვოლფის სააგენტო (მკათათვის 17 თარიღით) იუწყება, შაბათს საღამოს (მკათათვის 15) საიმპერიო კანცლერს პრესის წარმომადგენელებისთვის უთქვამს: თქვენი მოწვევა სრულიად კონკრეტულ მიზეზით არის გამოწვეული: ინგლისის მინისტრ პრეზიდენტის ლლოიდ-ჯორჯის სიტყვამ და თემთა პალატაში ამ ბოლო დროს მომხდარ სჯა-ბაასმა, ნათლად დაგვიმტკიცეს, რომ ინგლისი ზავისკენ არ მიისწრაფვის. ამას ინგლისელ მინისტრის კარსონის დუბლინში განცხადებაც მოწმობს. მან ხომ განაცხადა, რომ ზავის შესახებ მოლაპარაკებას ხხოლოდ მაშინ დავიწყებთ როდესაც გერმანელები ჯარს რეინს იქით გადიყვანენო. ყველა თქვენგანმა იცის აგრეთვე თუ რუსეთისა და ინგლისის პრესა როგორის ქებით შეეგება ფრანგების დაპყრობით გეგმებს. მეტად საყურადღებო იქნება ყველასათვის ამ უმაგალითო სისხლის მღვრელ ომის ნამდვილ მიზეზების გამოსარკვევად ფრანგების დაპყრობით გეგმაა წერილობითი დატკიცების გამოცხადება.

მე სახეში მაქვს მაისის 18—19 მომხდარ საფრანგეთის პალატის ფარულ სხდომების ანგარიშები, რომლებიც ეხლა ჩვენს ხელშია.

ეხლა მე სახალხოთ მივმართავ საფრანგეთის მთავრობას: განა უარჰყოფთ, რომ ამ ფარულ სხდომების დროს, რომლებზედაც რუსეთიდან დაბრუნებული დეპუტატები მუტტე და კაშენი მონაწილეობდნენ, ბრიანმა და რიბომ აღვიარეს, რომ საფრანგეთი, ვიდრე რუსეთის რევოლიუციას მოხდებოდა, მეფის მთავრობის ფარულ ნების დართვით, ფარულ დაპრობით გეგმას იმუშავებდა.

მე ვეკითხები, მართალია, რომ საფრანგეთის ელჩმა პალეოლოგმა, შემდეგ თავის შეკითხვისა, 1916 წ. ქრისტესშობისთვის 27, თავის შეკითხვაზე დუმერგის მიერ რუსის მეფესთან მოლაპარაკებით შემზადებულ ხელშეკრულებაზედ ხელის მოწერის რწმუნებულება მიიღო?

მართალია, რომ პრეზიდენტმა, ბერტოლდოს წინადადებით, ბრიანისაგან ნამალევათ, დაადასტურა ეს რწმენებულება, და ბრიანმა ამაზე თანხმობა მხოლოდ შემდეგში-ღა განაცხადა?

ამ ხელშეკრულობით საფრანგეთის 1790 წლის საზღვრები უზრუნველ ყოფილი უნდა ყოფილიყო. ე. ი. მას უნდა ჰრგებოდა ელზას-ლორენი, საარის აუზი და მაასის მარცხენა მხარეზე მოზრდილი ტერიტორია. და განა ტერეშჩენკომ, როდესაც უფლება მოიპოვა, ფრანგების დაპყრობით გეგმებზე, პროტესტი არ განაცხადა? განა მან არ განაცხადა: რუსეთს, რომ ეს გეგმები წინადვე სცოდნოდა, იგი არა მგონია თუ იმ ომ გაგრძელებდაო. განა ტომას რუსეთში მოგზაურობას ტერეშჩენკოს ეჭვების გაქარწყლება არა ჰქონდა მიზნად? ამ ფაქტებს საფრანგეთის მთავრობა ვერ უარჰყოფს. ამას გარდა მან უნდა აღვიაროს რომ კარდახურულ პალატის სხდომაზე ბრიანი ბევრმა გაიცცა, რომ რიბო იძულებული გახდა პალატისათვის ფარული ხელშეკრულება გაეცნო, რომ შემდეგ სახალხოთ სჯა-ბაასის დროს ბრიანმა თვითვე აიხადა ნიღაბი და განაცხადა, რომ რევოლიუციონურ რუსეთმა მეფისეულ რუსეთის ალღომა უნია შეინახოსო. ბრიანმა განაცხადა, რომ საფრანგეთისათვის სულ ერთი უნდა იყოსო, რასაც კი ამაზე რუსეთის დამალი კლასები იტყვიანო. საყურადღებოა აგრეთვე რომ, როგორც თვითონვე მუტტე მოწმობს, რუსეთში მისი ყოფნის დროს მოკავშირეთა შეკითხვაზე: არის თუ არა ზავისთვის ელზას ლორენი ერთად ერთი დაბრკოლება— განაცხადა. რომ ასეთი ფორმით დასმულ კითხვაზე მას პასუხის მიცემა არ შეუძლიან. დაე მოიგონონ, რომ რუსეთის რევოლიუციამ საფრანგეთის სისხლით იყო ნასყიდი. რუსეთის სულიერ განწყობილებას კაშენის განცხადება აყენებს შუქს. მისთვის ხომ რუსის წარმომაგენლებს უთქვამთ, რომ კონსტანტინოპოლის საკითხს ისინი დიდ ყურადღებას არ აქცევენ. კაშენის თქმით ამ განცხადებას რუსის ჯარის დელეგატებმაც მისცეს ხმაო. განცხადებამ მაინც ვერ დაარწმუნა რიბო, რომ რუსის ერი მონაწილეობას ამ ყრილობაში და შემოიტანს აქ იმ თავიანთ საჭირბოროტო საკითხებს, რომელთა შესახებაც მათ ამ მოკლე ხანში შ ნაურულად მოლაპარაკება ჰქონდათ თბილისში. ე. ი.

რევოლუცია

დეპეშები

აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა.

პეტროგრადი მკათათვის 24. (დაგვიანებულია). საღამოს თავრიდის სასახლეში მოხდა ცენტრალი აღმასრულებელ კომიტეტის სხდომა, რომელზედაც უნდა გარჩეულიყო საკითხი მთავრობის კრიზისზე, ხოლო, რადგანაც იმავ საღამოს დანიშნული იყო დეპუტატთა საბჭოს სხდომა ალექსანდრეს თეატრში, გადასწყვიტეს იმსჯელონ საორგანიზაციო საკითხებზე. ამაზე პროტესტი განაცხადეს მეუმრავლესეებმა ინტერნაციონალისტებმა. საღამოს მოხდა სხდომა ალექსანდრეს თეატრში ჩხეიძის თავმჯდომარეობით, რომელზედაც შრომის მინისტრმა სკობელევმა აცნობა კრებას ამბავი კრიზისის გათავებაზე და აღნიშნა, რომ ახალს მთავრობაში დემოკრატიას უკავია მთავარი როლიო. წერეთელმა განაცხადა, რომ დღეიდან იგი საგსებით სწირავს თავს დეპუტატთა საბჭოში მოქმედებას და მოუწოდა მხარი დაუჭირონ მთავრობას, როგორც ერთად-ერთს მხსნელს ქვეყნისას. მიიღეს რეზოლიუცია, რომ ძირითადი მიზანი ახალი მთავრობისა უნდა იყოს—დაცვა ქვეყნისა მტრის მიერ განადგურებისაგან და რევოლუციისა კონტრ-რევოლუციისაგან. ახალი მთავრობა უნდა განმსჭვალოს შემდეგი დებულებებით: არავითარი ხელის-შეხება დემოკრატიის სარევოლუციო ორგანოებზე, არავითარი უკან-დახევა საერთაშორისო დემოკრატიულ პრინციპებში, არავითარი ბრძოლა მთლიან პოლიტიკურ მიმდინარეობასთან, სასტიკი ბრძოლა კონტრ-რევოლუციასთან, აჩქარებით გატარება ცხოვრებაში სამეწყალო, სოციალ-პოლიტიკურ და საფინანსო-პოლიტიკურ ზომებისა თანახმად 8 ივლისის დეკლარაციისა.

პეტროგრადი. მკათათვის 25. კრებამ მიიღო რეზოლიუცია წარმოდგენილი დანის მიერ. მეუმრავლესეებმა-ინტერნაციონალისტებმა თავი შეიკავეს ხმის მიცემის დროს. მეუმრავლესეების ნაწილმა წარმოადგინა ცალკე რეზოლიუცია, მაგრამ უარყოფილ იქმნა. შეერთებული სხდომის დახურვის წინ ჩხეიძემ მიმართა პროვინციის დელეგატებს და აფიცებდა განამტკიცონ ხალხში ის აზრი, რომ მხარი დაუჭირონ ახალ მთავრობას, რომელსაც შეუძლიან იხსნას ქვეყანა დაღუპვისაგან და განამტკიცოს რევოლუციის შენაძენები.

კანდიდატები დამფუძნებელ კრებისთვის.

პეტროგრადი. მკათათვის 25. სახალხო თავისუფლების სრულიად რუსეთის კრებამ ამოარჩია კომისია, რომელსაც დაავალა შედგენა დამფუძნებელ კრებაში ასარჩევ კანდიდატების სიისა. კომისიამ წარმოუდგინა სია 800 კანდიდატისა, ამათში 120 გაყვანა მიღებულია საგალდებულოდ.

დადგენილება აღმასრულებელ კომიტეტისა.

პეტროგრადი. მკათათვის 25. ს. დ. აღმასრულებელ კომიტეტის ბიურომ დაადგინა მოიწვიოს საგანგებო საბჭოზე წარმომადგენელნი სარევოლუციო ორგანიზაციათა, სოციალისტურ პარტიათა, პროფესიონალ კავშირებისა და მომხარებელ საზოგადოებათა აზრთა გასაზიარებლად ფრონტის მდგომარეობის შესახებ და დასამუშავებლად პრაქტიკულ ზომებისა სახელმწიფოს დაცვის საქმეში.

დროებითი მთავრობა ჩერნოვის შესახებ.

პეტროგრადი. მკათათვის 24. (დაგვიანებულია). დროებითმა მთავრობამ მოისმინა-რა იუსტიციის მინისტრის ეფრემოვის მოხსენება და დასკვნა მინისტრ-თავმჯდომარის კერენსკისა, კმაყოფილებით დარწმუნდა, რომ ჩერნოვის წინააღმდეგ განგებ და ბოროტის განძრახვით იყო ხმები გავრცელებული.

პროტესტი მიწის სოციალიზაციის გამო.

ნოვოჩერკასკი. მკათათვის 24. ყაზახთა სამხედრო გამგეობამ წინადადება შემოიტანა, რომ მოსკოვის ყრილობაზე გგზავნილ იქნას დონის ყაზახების დელეგატები, რათა დაიცვან რუსეთის მთლიანობა, ძმური დაუჭირონ კოალიციურ სამინისტროს, პროტესტი განაცხადონ ყაზახთა მიწის სოციალიზაციის გამო და დაავალონ ყაზახთა პოლკებს მილიციის მოვალეობის შესრულება ქალაქებსა და დაბებში.

რუსეთის ნაციონალური სამინისტრო

კერენსკის მოწოდება.

პეტროგრადი. მკათათვის 25. ამ მწუხარე წელს უმაღლეს მთავრობის ტვირთის ზიდვას კვლავ განახლებული მთავრობა შეუდგება. სახელმწიფოს ასეთ მოუწყობლობის დროს ფრონტზე მტრის შემოტევა თვით რუსეთის არსებობას უშიშროებს საფრთხეს. მხოლოდ ჯერ არ ნახულ რაინდული ძალონის გამოჩენით შეიძლება საშშობლოს ხსნა, მხოლოდ მტკიცე მთავრობასა და ერის თვითგანწირვას შეუძლია გამოჰკვეთოს ის მრისხანე სახელმწიფოებრივი ძალა, რომელიც განსწმენდს სამშობლოს მტრისაგან და ყველა ძალებს სამშობლოს ასაღორძინებლად შეჰკრებს ერთად. დროებით მთავრობას ვერავითარი დაბრკოლება ვერ შეაფერხებს ბრძოლის ღირსეულად დაგვირგვინებისაგან, რომელზედაც რუსეთის მომავალი ბედია დამოკიდებული. იგი საჭირო ზომებს მიიღებს სახელმწიფოს საორგანიზაციოთ, რადგანაც დიად მიზნის განსახორციელებლად საშშობლოს ყველა ცოცხალ წყაროებით ისარგებლებს. დროებითი მთავრობა დარწმუნებულია, რომ მას რუსეთის ყველა ერი აღმოუჩენს ყოველმხრივ დახმარებას.

დროებით მთავრობას მტკიცედ სწამს, რომ აუცილებლად საჭირო მთელი სარევოლიუციო ძალა მოხმარებულ იქნება რუსეთის დასახსნელათ და აღსადგენათ მისი სახელისა, რომელიც შეგინებულ იქმნა მისთა შვილთა დალატით, სულმოკლეობით და საზიზღარი სიმფრთხილეთ.

დროებითი მთავრობას მტკიცედ სწამს აგრეთვე, რომ ისტორიულ მომენტში, როდესაც საშშობლოს ბედი სწყდება, რუსეთის მოქალაქენი დაივიწყებენ მტრის წინაშე თავიანთ გამთიშველ სადავო საკითხებს, დიად საშსხვერპლო თავგანწირვისათვის მტკიცედ შეერთდებიან და მომავალ საბედისწერო განცდათ ვეჟაცურის სიგმირით დასძლევენ. ასეთ მტკიცე ერთობისთვის ადარ იქნება საშიში არც გარეშე მტერი და ადარც შინაური დარღვევა. ნაციონალურ ერთობით და აღფრთოვანებით ჩამოქნილი თავისუფლება არ დამარცხდება! რუსის ერი მას სისხლითა და ცრემლებით გაიტანს ბრწყინვალე მომავლისკენ და კაცობრიობის საკეთილდღეოთ ახალ თავისუფალ რუსეთს შეჰქმნის.

მინისტრ თავმჯდომარე და საზღვაო-სამხედრო მინისტრი ა. **კერენსკი.**

პეტროგრადი. მკათათვის 24. (დაგვიანებულია) დღეს მთავრობის კრიზისი სასურველად გადასწყდა. კერენსკიმ გამოაქვეყნა ახალ კაბინეტის შემადგენლობა. პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენლებთან კერენსკიმ საზამთრო შენობაში, პარტიულ ორგანიზაციების უშუამავლოთ და დამოუკიდებლად იქონია მოლაპარაკება. ამისდამიუხედავად, პარტიები თავის ეროვნაციონალურ კაბინეტის შედგენაში კერენსკის აქტიურ დახმარებას უწევდენ.

კერენსკის თხოვნა პორტფელის მიღებაზე და წერეთლის პასუხი

პეტროგრადი. მკათათვის 24. ხალხის თავისუფლების პარტიის ცენტრალ კომიტეტმა კვირას საგანგებო რეზოლიუცია გამოიტანა. ამ რეზოლიუციით პარტიის წევრებს ნება ეძლევათ დროებით მთავრობის შემადგენ-

*) იხ „საქართველოს“ № 163.

ლობაში შესვლისა, ვინაიდან მინისტრ თავმჯდომარე კაბინეთის შედგენის დროს იმით ხელმძღვანელობდა, რომ კაბინეთისთვის საერთო ნაციონალური ხასიათი მიეცა, და ამასთან უზრუნველ ეყო იმ გავლენიან პოლიტიკურ პარტიების წარმომადგენლობა, რომელთაც მინისტრ თავმჯდომარეს სრული ნდობა აღუთქვეს. ამასთან ერთად მხედველობაში მიღებულ იქმნენ საქმის მომენტის მოთხოვნილებანი, რომელთა თანახმად ინიშნებოდნენ საპერსონალო კანდიდატურები ახალ სამინისტროსათვის პირველ მოწვევის სამინისტროდან. მოლაპარაკების დაწყებისას კერენსკიმ წერეთელს თხოვნით მიმართა, რომ მას საერთო ნაციონალურ კაბინეტში, რომლის დაარსების ინიციატივაც მას ეკუთვნოდა, —ერთ ერთი პორტფელი აეღო. უარი უთხრა რადგანაც, მისავე განცხადებით მას სურს უფრო აქტიურსა და უმაშვალო მოქმედებას შეუდგეს ორგანიზაციულად მოწყობილ დემოკრატიის ბმართველ წრეებში. წერეთელმა მთავრობის შემადგენლობაში თავის როლს შეასრულებულად სთვლის, მაგრამ იგი შემდეგშიაც კიდევ ახალ კაბინეტს მხარს დაუჭერს და ყოველ მხრივ დახმარებას გაუწევს.

რუსეთი და უცხოეთი

თამბაქოს მუქთად დარიგება.

პეტროგრადი. მკათათვის 24. გადასახადთა მთავრმა გამგეობამ გასცა ბრძანება, რომ თამბაქოს ნაწარმოები ურიგდებოდეს ჯარის-კაცებს მხოლოდ შემოწირული ფულით ნაყიდი ჯარის-კაცებისათვის ნებადართულია უაქციზოდ გასაცემად მხოლოდ პაპიროსები მეორე და მესამე ხარისხისა, წენგო და წენგოს პაპიროსები.

დეპეშები პეტროგრადიდან

მიტავაში ვილჰელმმა ჯარს გალიციის გამარჯვების მნიშვნელობა აუხსნა და უთხრა რომ ზავის დროც მოახლოვდაო.

—

ჩერნოვიცში ჩამოვიდა ავსტრიის დივიზიის უფროსი გენერალი და განაცხადა, რომ ერთი თვის შემდეგ ზავი კიევში იქნება შეკრულიო.

—

გერმანელები ავსტრია-რუსეთის საზღვარზე მაგრდებიან და რუსეთისადმი ხეპარატიულ ზავის ახალ პირობების წარდგენისათვის ემზადებიან. გერმანელები აცხადებენ, რომ თუ რუსეთმა უარჰყო მისგან წარმოდგენილი პირობები, ბესარაბიაში და რუმინეთში კვლავ შეტევას განაგრძობენ. ამავე დროს გერმანელები რიგისა და ბალტიის ზღვის სანაპიროების წინააღმდეგ დიდ მოქმედებისთვის ემზადებიან.

—

„ვოლია ნაროდა“ კითხვას იძლევა: განა ეხლა კი ყოველ დროს არ შეიძლება რომ პარტიებმა მთავრობის თავიანთი წევრები გაიწვიონ? ამიტომ ახალი კაბინეტი მეტად მტკიცედ ვერ ჩაითვლებაო.

—

დროებით მთავრობამ მკათათვის 25-ს სხდომაზე საქართველოს ავტოკეფალობის კანონ-პროექტი მიიღო.

ქრონიკა

თბილისი

სალდათთა დეპუტატების საბჭომ ამა თვის 26-ს დაადგინა: სალდათებს და აგრეთვე გარეშე პირთ არავითარი ნება არ აქვთ ერეოდნენ მილიციონერების საქმეში და ამ უკანასკნელებს ხელს უშლიდნენ მათი მოვალეობის შესრულებაში. ვინაც მილიციონერების საქმეში თავის ნებით ჩაერევა, დატუსალებული და პასუხისგებაში მიცემული უნდა იქმნენ.

კ. ს. ფ. კ. გ. საზოგადოების მთავარმა გამგეობამ არმავირის ქართულ სკოლას მასწავლებლად გაამწესა დიდი გომარეთის სკოლის მასწავლებელი ლ. ძაძიგური.

წარმომადგენლების არჩევა. ერობათა კავშირის ამიერ კავკასიის განყოფილებამ კავშირის მომუშავეთა საერთო კრებაზე დასასწრებლად პეტროგრადში მარიამობისთვის 2-ს აირჩია მუშა ს. ფ. ხინტირია და მ. გ. ზაპოროჟეცი.

რუსეთის ერობათა კავშირის მთავარ კომიტეტის რწმუნებულად ამიერ კავკასიაში დაინიშნა თავ. მ. ა. სუმბათაშვილი.

დღეს, მკათათვის 28-ს, საღამოს 8 ნახ. საათზე, „ახალი საკრებულოს“ (ხარფუხის კლუბი) საზაფხულო ბინაზე ვ. ო. ურუშაძე, მოსკოვის სიფხიზლის საზოგადოების ლექტორი, წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: ქალაქის თვითმართველობის დემოკრატიზაცია. ლექციის შემდეგ გაიმართება კამათი. წმინდა შემოსავლის 10 პროც. გადაიდება გლეხთა და ჯარის-კაცთათვის წიგნების შესაძენად.

ივანე გომართელეს „ხალხის თავისუფლების“ თანამშრომლობისათვის თავი დაუნებებია.

დამფუძნებელ კრების არჩევნებისათვის ცალკე აღწერილობა არ მოხდება თბილისში. ასეთ არჩევნებისთვის იხელმძღვანელებენ საქალაქო არჩევნებისა და სასურველთო აღწერილობით.

ქალაქის საარჩევნო კომიტეტი სთხოვს იმ პირთ, რომელთაც სურვილი განაცხადეს ითავისუფლონ მკათათვის 30-ს ქალაქის ხმოსნების არჩევნების დროს ერთ-ერთ საარჩევნო უბანში, მიბრძანდნენ თავიანთი სამი ამხანაგით კომიტეტის კრებაზე მკათათვის 28-ს, საღამოს 6 საათზე, ბარტიულ საზოგადოების დარბაზში, გოლოვინის პროსპექტზე.

საქართველო

საქალაქო არჩევნები ოჩამჩირეში. მიღებულ ცნობის მიხედვით, საქალაქო არჩევნებზე ოჩამჩირეში აირჩევიან: სოც.-დემოკრატი 14, სოც.-რევოლუც. 3 და სხვა პარტიებისაგან 5 კაცი.

დუშეთის ქალაქის არჩევნები განასაჩივრა იქაურმა მამასახლისმა. მიზეზად განსაჩივრებისა დასახელებულია შემდეგი. ქალაქის მილიციის კომისარები გამოცხადდენ ქალაქის საარჩევნო კომიტეტში, მოიტაცეს მთელი საქმის წარმოება და არჩევნებს ხელმძღვანელობდა ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტი.

რუსეთი და ევროპა *)

III

რუსეთში ანგარიშობენ 160 მილიონ მცხოვრებს და ამ ანგარიშით დამფუძნებელ კრებაში უნდა იქნეს 800 წევრი. აქედან ველიკოროსებს ერგებათ 250 ადგილი, რადგან მათი რიცხვი ითვლება 50 მილიონი. პარტიათა განწყობილების გამო საანგარიშებლათ შეგვიძლია მივიღოთ სამაგალითოდ მოსკოვის ქალაქის არჩევნები. სოციალ-რევოლუციონერებს 200 ადგილიდან ერგო 116, ე. ი. 58 პროც. კ.-დ. 34. 17 პროც. ს.-დ. 24—12 პრ., ბოლშევიკებს 23—11,5 პრ. უნდა ვიგულისხმოთ, რომ სოციალ-რევოლუციონერები სოფლებში უფრო გაიმარჯვებენ, მაგრამ ყოველ შემთხვევაში სხვა და სხვა პარტიები მათ 30 პროც. მაინც ჩამოაგლეჯენ. მაშასადამე სოც.-რევოლუციონერები ველიკოროსებიდან მიიღებენ 175 ადგილს. უნდა ვიგულისხმოთ, რომ სოციალ-რევოლუციონერები სხვა მხრიდანაც გავლენ, მაგრამ ყოველ შემთხვევაში მათი რიცხვი 250-ს ვერ ასცილდება. ამ ანგარიშიდან უკვე სჩანს რომ არც ერთ პარტიას უმრავლესობა არ ეყოლება. ხოლო ბლოკით სოციალ-რევოლუციონერები უმრავლესობას ვერასგზით ვერ მოიგოვებენ, ველიკოროსების პოლიტიკას მაინცა და მაინც არავრად ენდობიან, და ყველას ეშინია ჩასახლების პოლიტიკის წარმოებისა. მუსულმანთა წარმომადგენლები ყოველთვის შეთანხმებით მოქმედებდენ რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში და ეხლაც ამ შეთანხმების დამრღვევი მიზეზი არსაიდან მოსჩანს. ისინი მიწის სოციალიზაციას მედგრად შეებრძოლებიან, რადგან მათთვის აქამდე ბევრი მიწა-წყალი წაურთმევიათ. აგრეთვე ეწინააღმდეგებიან ციმბირელები, კაზაკები, უკრაინელები, კავკასიელები და სხვა. ლიტვაში, ბელორუსიაში და უკრაინაში მემამულენი უცხოელებიც არიან, გერმანელები და პოლონელები, და შეიძლება ამ გარემოებამ რაყვა შეიტანოს მათ წარმომადგენლებში, მაგრამ უეჭველია, რომ მიწის სოციალიზაციას დამფუძნებელი კრება ვერ დაკანონებს. ამას წინ აღუდგება უმრავლესობა ჩამოსახლების პოლიტიკის შიშით, როგორც ზემოთა ვთქვით. მაშასადამე საკითხე კამათი ძიდებს ზოგადს პრინციპიალურ მიმართულებას. კერძო საკუთრების დამცველი გამოჩნდება, და გამოეჩნდება ისეთი პირები, რომლებიც აღფურფილი იქნებიან ევროპიული მეცნიერებით და თეორიებით. შეიძლება მხოლოდ მიღებულ იქმნას იძულებით გამოყიდვა დიდი მამულებისა კერძო მესაკუთრეებისაგან. ეს არ იქნება დედა ბოძის შერყევა, არამედ ოდნავ შეხება, რომელსაც გასამართლებელ საბუთს გამოუძებნიან. აქამდისაც მოხდარა იძულებით ჩამორთმევა ძამულისა სასყიდლის მიცემით, მაგალითად რკინის გზის გაყვანის დროს.

დამფუძნებელ კრებამ შეიძლება დადგინოს, რომ მესაკუთრეთ ჩამოერთვას დიდი მამულები, რადგან დიდი მამულის ერა თუ დამუშავება, მოგლაც ძვლია, და მემამულენი ვერც უვლიან და ვერც პატრონობენ ხეირიანათ, უფრო მეტად იჯარით აქვთ გაცემული.

მეორეს მხრით მუშა ხალხი უმიწაწყლოთ შევიწროვებულია და დიდ გაჭირვებას განიცდის. მუშა ხალხი კი მცხოვრებთა დიდ უმრავლესობას შეადგენს და მათს კეთილდღეობაზეა დამოკიდებული სახელმწიფოს ძლიერება. ამიტომ დიდი მამულების ჩამორთმევის და მუშათა დარიგების საბუთად წამოყენებული იქნება სახელმწიფოს ინტერესი. მაგრამ აქ უთუოდ პარტიკულიარიზმი წამოყოფს თავს. ყოველი წევრი დამფუძნებელი კრებისა თავის მოვალეობად ჩათვლის თავის კუთხის ინტერესების დაცვას და ეს გამოიწვევს იმ აზრს, რომ მიწის დარიგება-დანაწილება მიენდოს ადგილობრივ თვითმართველობას. ამ გარემოებამ შეძლება ის შედეგი მოიტანოს, რომ მიწის გამოყიდვა სახელმწიფოს ადარ დაეავალოს, არამედ იმავე ადგილობრივ თვითმართველობას, მაშინ მიწის სოციალიზაცია სამუდამოდ უნდა გადაიდოს.

ბ. გ.

ომის ანგარიში

თუ რა ჯდება დღევანდელი ომი, რა ზარალს აყენებს ის მეომარ სახელმწიფოებს, რამდენი ადამიანი ეწირება მსხვერპლად ომის საშინელებას, ჯერ არავინ იცის. არ ვფიქრობთ, რომ კაცობრიობამ დანამდვილებით გამოიანგარიშოს ეს.

მაგრამ ამისდა მიუხედავად არიან დაახლოებითი ცნობები, რომელნიც ცოტაოდენად მაინც შუქს ჰფენს ამ მხარეს.

7 მილონი მკვდარი.

5 მილიონი დასახიჩრებული.

ეს მინიმუმი არის დანაკლისისა, მაგრამ ესეც ხომ ააშკარავებს, თუ რამდენი სიცოცხლე გაჰქრა და დასახიჩრდა და რამდენი მსხვერპლი შეიწირა ომის საკურთხეველმა.

14 მილ. დაჭრილი, ესე იგი, ასე თუ ისე ცხოვრებისთვის ადარ ვარგანან და მუდამ ემახსოვრებათ საერთაშორისო ომი.

თითო დღე საშუალოთ იძლევა—

6364 მკვდარს.

4546 დასახიჩრებულს.

12726 დაჭრილს.

კერძოდ თვითეულ სახელმწიფოზე დანაკლისი ასე მოდის: **რუსეთზე**— 2.250,000 მკვდარი; 1.626,000 დასახიჩრებული; 5.800,000 დაჭრილი. **ინგლისზე, საფრანგეთზე, იტალიაზე, ბელგიაზე** — 1.880,000 მკვდარი, 1.360,000 დასახიჩრებული, 4.500,000. **გერმანიაზე და ავსტრო-უნგრეთზე**— 2.450,000 მკვდარი; 1.750,000 დასახიჩრებული, 5.900,000 დაჭრილი.

ომი არამც თუ ჰკლავს ცოცხლებს, არამედ ხელს უშლის ხალხის მოშენებას. გამორკვეულია, რომ მეომართა სახელმწიფოებში **დაბადებულთა რიცხვი 9 მილიონით შემცირდა.**

ასეთი არის ცოცხალი ძალის დანაკლისი.

ახლა გადავავლოთ თვალი თუ რა ფული დაიხარჯა ომის განმავლობაში, თუ რა მძიმე ტვირთი დააწვათ მეომარ სახელმწიფოებს.

ამ სამი წლის განმავლობაში მეომარმა სახელმწიფოებმა სესხად აიღეს 170 მილიარდი მანეთი. ომამდე კი სახელმწიფო სესხი ყველა ევროპის სამეფოებისა, უდრიდა მხოლოდ 50 მილიარდს მანეთს.

ინგლისელ მეფის გვარის გამოცვლა

უეჭველია, რომ ინგლისის მეფის გვარის გამოცვლა დინასტიის ნაციონალიზაციის სურვილით არის ნაკარნახევი.

ინგლისის მეფის ოჯახი (მამრობითი ხაზით დედოფალ ვიქტორიას ქმრის ჩამომავალია) საქსენ-კობურგისა და გოტას გერმანულ ჩამომავლობის ერთ ერთ შტოს ეკუთვნის. მათი ოჯახის წევრები, როგორც ვიცით, მეფობენ, არა მარტო პატარა გერმანულ საჰერცოგოში, არამედ ბოლგარეთშიც. ამ შტოს ეკუთვნის აგრეთვე პორტუგალეთის მეფის ოჯახი. ასე რომ ინგლისის მეფე ფაქტიურად ჩამომავლობით გერმანელია. ეს თუ მამრობით ხაზს გამოყენეთ. მაგრამ თუნდაც მდედრობით ხაზს მივაქციოთ ყურადღება, მაინც ამ დასკვნას მივადგებით, ვინაიდან ამ უკანასკნელი ორი საუკუნის ყველა ინგლისის მეფე და თვით დედოფალი ვიქტორია ბრაუნშვეიგ-ლუნებურგის ოჯახს ეკუთვნოდაენ.

ომის დაწყობიდანვე ინგლისის საზოგადოებამ გერმანელ ჩამომავლობის ინგლისელ პრინცებს აკის თვალით დაუწყო ყურება. მაგალითად პრინცი ბატენბერგისა ომის პირველ დღეებშივე იძულებული შეიქმნა, რომ საამირბაროს პირველ ლორდის უმაღლესი პოსტი დაეტოვებინა. უკმაყოფილობით იხსენიებდენ აგრეთვე დედოფლის ძმას, პრინც ტეკს. (კანადის გენერალ გუბერნატორი) იგი ვურტემბერგის მეფის ახლო ნათესავია და ამასადამე გერმანულ ჩამომავლობისა.

მართალია, მათთვის გერმანოფილობა არვის შეუწამია, მაგრამ ინგლისელები ვერ შერიგებოდნენ იმ გარემოებას, რომ ინგლისელ-პატრიოტებად ქცეული პირები კვლავ გერმანელ გვარეულ ატარებდნენ. რომანოვების დინასტიის გაუქმების შემდეგ, როდესაც გამოქვეყნდა, რომ მისი მრავალი წევრი სერთო მტერს თანაუგრძნობდნენ, ინგლისში გერმანელ გვარების მქონე წარჩინებულ პირებს უფრო უნდობათ დაუწყეს ცქერა. რა თქმა უნდა, რომ ინგლისის მეფე გეორგ V ამას უყურადღებოდ ვერ დასტოვებდა და აი გარემოებით უნდა აიხსნას ინგლისელ მეფის გერმანული გვარის „ვინძორ“-ად შეცვლა. ვინძორი—ინგლისელ მეფეთა ბუდმა სამყოფ ციხე-კოშკის სახელია.

შინ და გარეთ

(დასასრული*)

სომხები და ჩვენ ერთმანეთის მონათესავენი ვართ ქრისტეს შობამდე ექვსი საუკუნის აქეთ, მას აქეთ, ოცდახუთი საუკუნის განმავლობაში ერთმანეთის მეზობლები ვართ, დიდ ხანს ერთი სარწმუნოებისანი ვყოფილვართ, ერთი და იმავე დინასტიის ხელქვეშ ვცხოვრობდით. ხშირად სისხლი ერთად და ერთმანეთისთვის გვიღვრია.

ამას მოწმობენ ნაწერი ისტორიის ფურცლები, ხალხის მადლიერ მეხსიერების გადმოცემანი და ანისის ქვები...

სომხები მოწმენი იყვნენ ძველი რუსეთის მიერ ჩვენი მოღალატურ მოტყუილებისა.

სომხები ცხადათ ხედავენ ახალი რუსეთის მიერ ჩვენს აბუჩათ აგდებას, ჩვენს ეროვნულ შეურაცხყოფას, და მიუხედველათ ამისა, მაინც გაებენ და ებმებიან იმავ მახეში, რომელშიაც მათზე წინ, მათ თვალ წინ გავებით ჩვენ.

მათ დაინახეს, რომ თვით მპყრობელი საქართველო, რუსეთს შეფარებული, რუსეთისათვის დიდ სარგებლობის მომტანი და დიდი გავლენის მომხვეჭი განიავდა რუსეთისაგან, და შემდეგ ამისა, 117 წლის მერმე, თვითონ ოსმალეთის მონები, ვერ სარგებლობენ და ნახული მაგალითით და ებმებიან ვერაგი ვორონცოვ-დაშკოვის მახეში.

სულელური რეჟიმის სულელი კაცები სომხების პლუტოკრატიაზე, სომხების ჯერჯერობით ერთად ერთ ხელმძღვანელზე, უფრო ჭკვიანნი გამოდგენ და ჩაითრიეს ისინი თავიანთ ავანტიურაში.

მონარქიულმა რუსეთმა აღუთქვა სომხებს ავტონომია ოსმალეთში და ნაცვლად მოსთხოვა მათ აჯანყება ოსმალთა წინააღმდეგ. სომხებმა მისცეს სიტყვა და შეასრულეს იგი. რუსის ჯარი შევიდა ოსმალეთის სომხეთში, იფრინა ოსმალთ მხედრობა, მაგრამ მალე „სტრატეგიული ანგარიშით“ და ტაქტიკური მოსაზრებით, სწორედ ისე, როგორც ერთ დროს ასპინძასთან, დაიხია უკან, შემდეგ ისევ წაიწია წინ და ახლა ისევ იხევს უკან... შედეგი? ოსმალეთის სომხეთში თითქმის აღარ დარჩა სომხები. არისა ნასოხეთარი, რომლის დასასახლებლად ხან ყაზახ-რუსებს ამზადებენ და ხან ვის...

სომხებს კი ლათაიებით ათრობენ: თქვენ საქართველოში და ყარაბაღში მოგცემთ ბინასაც და ავტონომიასაც. ისინიც ჯერებენ ამას და მხარს აძლევენ თავიანთ დამბრმაველელთ ჩვენი, ქართველების, ხელის დასაცარად...

ამაზე მეტი ჭკუის წაგება წარმოუდგენელია!..

ხოლო ყველა სომხები კი არ არიან ჩვენი წინააღმდეგნი.

ბევრს ჩვენი სიკეთეც უნდა. მაგრამ ზოგს ამ ბევრში უცნაურად ესმისთ ჩვენი სიკეთე.

ამას წინად დასავლეთის ფრონტზე მოხდარა ქართველთა და სომეხთ ჯარის-კაცთა ყრილობა. გადაუწყვეტიათ ერთმანეთს დაუჭირონ ხმარი საერთო საქმეებში, ხოლო სომხებმა გარდა ამისა ქართველებს—ავტონომიის მოთხოვნაში დახმარებას შეგვპირდენ, თავიანთი ავტონომია კი საერთაშორისო საქმედ სცნეს, ვინაიდან, ალბათ, გულისხმობენ თავიანთ საავტონომიო საზღვრებში ოსმალეთის სომხეთის მოქცევასაც.

საქართველოს ავტონომიის საზღვრებში საუკეთესო პროვინციების—ახალ-ციხის, ახალ-ქალაქის და ბორჩალოს მაზრების შეტანას იმავე კრების სომხები სათუოდ სთვლიან, თუმცა თბილისის საქართველოს მოშორებას შეუძლებლად სცნობენ, და აღიარებენ —საქართველო უთბილისოდ ემსგავსება ტანს უთავოთო.

და რომ თბილისი უახალციხოდ, უახალქალაქოდ და უბორჩალოდ დაემსგავსება თავს უტვინისძაფებოთ, ეს ავიწყდებათ ზემორე მოყვანილ პოეტურ შედარების ავტორებს—პოლკოვნიკ არეშევს და სხვათა.

ხსენებული მაზრები, რომელიც სიდიდით უდრის ბელგიის სამეფოს, გარდა იმისა, რომ ძირითადი საქართველოა, როგორც ვანია ძირითადი სომხეთი, დღესაც ყოველივე თავისი სოციალური და ეკონომიური ინტერესებით გადაჯაჭვულნი არიან თუშ-ფშავეთს, ქართლსა, თბილისსა და იმერეთზე (ახალ-ციხე). ეს არ იციან მხოლოდ იმათ, ვისაც ამის ცოდნა „ხელს არ აძლევს“.

მოვიწვევთ გონიერ სომხებს ფხიზლად შეხედონ თავიანთ და ჩვენს ინტერესებსაც, ათჯერ გაზომონ და ერთჯერ გადასჭრან. ნუ გაახარებენ ზედმეტად ჩვენს საერთო მტრებს, ნუ წაგაძვენ იმ მაზანდარელ კაცს, რომელიც შარის გულისათვის ქართველს გოჯას თავს ეცილებოდა, თუმცა თვითონ თავის სჯულის კანონითოფოფის სიშორეზე არ იკარებდა ღორს და ჭარივით ეზიზღებოდა არა თუ ჭამა, შეხედვაც.

ერევნის გუბერნია, დიდი ნაწილი ყარსის ოლქისა და ოსმალეთის სომხეთი, რაც უნდა შევიდეს სომხების ანგარიშით ავტონომიურ სომხეთში—უდრის სივრცით მთელს გერმანიას, რომელშიაც 60 მილიონი ხალხი ცხოვრობს. რამდენი მილიონია თვით სომხობა? მოუვლიან, დაიმუშავებენ და დაიცავენ ისინი ამდენ მიწას, თუნდაც ქართველებმაც რომ თავი გადასდგან მათთვის და ქურთებიც რომ მტლად დაედონ მათ?

ვერაგზით ვერ მოუვლიან, ვერ დაიმუშავებენ და ვერ დაიცავენ, რადგან სომხის ერს, რიცხვით შედარებით მცირეს, არ შეუძლია გაწვდეს იმ აუარებელს მიწებს, რომელთაც მისი ბეცი მეთაურები ასე თავ-ჩალათ ეპოტინებიან.

ჩვენი ორთავეს საერთო სამარადისო ინტერესები მოითხოვს დაჯერდეთ იმას, რაც თითოეულ ჩვენგანს ეკუთვნის ისტორიულათ, ეთნოგრაფიულათ და ეკონომიურათ.

ყოფილა და დარჩეს ქართველი ქართველათ, სომეხი სომხათ, საქართველო საქართველოთ და სომხებისათვის აღსდგეს სომხეთი.

წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება განმეორდეს ვარდან მამიკონიანის ისტორია პარავარის ველზე, როცა თავგანწირულმა ვაჟკაცობამ ვერ გამოისყიდა პოლიტიკური ხრწნილება და სიბეცე. როცა დაირღვა სომხეთი და იმ დღიდან დაქსაქსულ სომხებს დღემდის ვერ მოუყრიათ თავი ერთად...

ასე იცის საერთო გზას გადაცდენამ, საერო ნამდვილ ინტერესების შეუგნებლობამ, ფიზიკურ ძალის სოციალ-პოლიტიკურ გარემოებასთან შეუწონლობამ.

ამ ისტორიულ კანონის დარღვევა ღუპავს დღეს სიდიდით ბუმბერაზ რუსეთსაც.

ომიანობის მეოთხე წელს მისი ჯარი დამარცხებული და ზარდაცემული გამორბის ბრძოლის ველიდან. რატომ? განა რუსი გერმანელზე ნაკლები ვაჟკაცია? სრულიადაც არა!

ვაჟკაცობას დიდი მნიშვნელობა აქვს ომში, მაგრამ იგი ყველაფერი არ არის არც ომში.

ომში უნდა სჭრიდეს არა მარტო ხმალი, არამე გული.

რუსს სალდათის გული, ომში არა თუ არ სჭრის, არამედ გული სულ არ გაყოლია მას ბრძოლის ველად, იგი დარჩა მას შინ, შიშილისგან დასნეულებულ ცოლთან, დედ-მამასთან და ტიტველა შვილებთან...

გარდა ამისა თვით ამ ომის საგანი არ ეხმის რუსის სალდათს, ეგ მისთვის დღეს საეჭვოა და სრულიად უცხო.

მართალია, რევოლუციამ აღუთქვა მას ყოველივე სავსება ამ ქვეყნიური სიკეთისა, შემოიღო თავისუფლება სიტყვის, ბეჭდვის, კრების, გაათანასწორა წოდებანი და ეროვნებანი კანონის წინაშე, სცნო სალდათი კაცათ, მიუმატა მას ჯამაგირი, მაგრამ... ქალალდმა ვერ შესცვალა მონა თავისუფალ კაცათ და შიმშილში აღზრდილმა მონამ ეჭვის თვალით შეხედა გაძლომის დაპირებას რა კი მისი კუჭი მშიერი იყო.

დაიჯერა მხოლოთ შესაძლებლობა მიწის საერთო დანაწილებისა, რადგანაც სოფლათ მიწის დანაწილებას რუსი თანშეზრდილია. დაიჯერა და რადგან მეფე ტახტზე აღარ ეგულებოდა და მეფის მოსპობა მან კანონისა და სამართლის მოსპობად გაიგო, გამოეშურა შინისკენ ჯერ ცალ-ცალკე, მერე როტით, ბატალიონებით და პოლკობით, რათა მოესწრო სამშობლოში საერთო მოწის დანაწილების დროს თავისი წილის მიღებისათვის.

გერმანელების ჩაეულებრივი იერიში ასეთმა სალდათებმა მიზეზად გამოიყენეს გამოქცევისათვის, და ახლა მთელი ლაშქარი, დაქსაქსულ ურდოთ ქცეული, გარბის, რომ მიწა სიტყვით სოციალისტებისაგან დაპირებული, მიიღოს და თუ დაჭირდა ძალით იგდოს ხელთ.

ამავ დროს მტერს აჩერებს და რუსეთს იცავს უარესისაგან ჩერქეზების, ადერბეიჯან თათრების, ქართველების და სომხების და სხვათა ცალკე ნაწილები და მხედრები.

ესენი თუ იხედენ უკან, მხოლოთ მაშინ როცა რუსი სარდალი ამას უბრძანებს, იხედენ მაგრამ ომით, სისხლს ღვრიან თვისას, მაგრამ ზედ ანთხევენ მტრის სისხლსაც.

რუსეთს ომში დაბადებული ფულით შეეძლო ბოლოს ... წალი რკინის გზებით უფრო ნაჩქარევი ვიდრე ეს ბელგეთში არის.

საფრანგეთმა დაკარგა ორჯერ მეტი, ვიდრე ელზას ლორენის მცხოვრებლებია, რომლისთვისაც ის იბრძვის.

გერმანეთს შეეძლო დახარჯული ფულით შეეყიდა ამერიკიდან მთელი ბამბის მრეწველობა, მთელი მისი რკინის და ნავთის მადნები და მას კიდევ მრავალი მილიონები რჩებოდა.

... ბ ... ...

პონტრ-რევოლიუციური ორგანიზაციის აღმოჩენა

სარწმუნო წყაროებიდან იტყობინებიან, რომ ტიბეთის აქიმის ბადმაევის, „ზემშჩინის“ ყოფილ რედაქტორის და სხვათა დატუსაღებას მახლობელი კავშირი აქვთ ერთმანეთთან.

აღმოჩენილია მთელი ორგანიზაცია შავრაზმელებისა, სახელწოდებით „წმიდა რუსეთი“, რომელშიაც მონაწილეობას იღებდნენ დატუსაღებულნი. ამათი ორგანო იყო გაზ. „გროზა“, რომელსაც ავრცელებდნენ მეტადრე რუმინეთის ფრონტზე. გაზეთი ცდილობდა გაეხრწნა ჯარი, გული აეცრუებინა ომზე, ამტკიცებდა, რომ ფრანგები და ინგლისელები ჩვენი პირველი მტრები არიანო და სხვა. მთელი ამ შავრაზმული ორგანიზაციის გამქიქველი იყო პრაპორშჩიკი ნ. სტემბო. მანვე აღმოაჩინა, რომ „რუსის ხალხის კავშირს“ მიცემული ჰქონდა ინსტრუქციები დაუახლოვდნენ ლენინელებს, და ცხოველი მონაწილეობა მიიღეს მეუმრავლესეთა მანიფესტაციაში 3-ს იანვარს.

რკინის გზების აღწერა

რუსეთის რკინის გზების საქმეთა აწყობა მატულობს. სახელმწიფო სათათბიროს წევრის ა. ბუბლიკოვის ცნობით, ჩვენი რკინის გზების საქმის მდგომარეობა იხატება ასე:

ჯერ კიდევ მარტში, ამ წლის დაუტვირთველობა ყველა რკინის გზებისა უდრიდა 74 ათას ვაგონსა, აპრილში ეს რიცხვი ავიდა 77 ათასზე, მაისში 184—ათასზე და ივნისის ნახევარში უკვე 1616 ათას ვაგონს მიაღწია.

ამ გვარად დაუტვირთველობა შეადგენს უკვე 20 პროცენტს წარსულ წლის მუშაობისას. ასეა საქმე, როცა ვებებით საზოგადოთ რუსეთის ყველა რკინის გზებსა. ხოლო, თუ ავიღებთ კერძო მაგალითებსა, სურათი უფრო შემაძრწუნებელი ხდება. ავიღოთ, მაგალითად, პეტროგრად-ეკატერინოსლავის რკინის გზა: აპრილში მისი დაუტვირთველობა უდრიდა 85.830 ვაგონს, მაისში—207.405, ხოლო, ივნისის ნახევარში—119.625 ვაგონსა, საზოგადოდ კი, 5 ნახევარ თვეში დარჩა გაუგზავნელი 717.320 ვაგონი საქონელი. ასევე უარესდება მოძრაობის საქმე. შარშან გაფუჭებულ ორთქლმატარებლების რიცხვი უდრიდა 16,5 და 17,5 პროც., ხოლო წელს ეს პროცენტი ავიდა უკვე 20,3—24,2 პროცენტამდე, საზოგადოდ, კერძოდ კი, ნიკოლოზის რკინის გზაზედ—26,5, პერმისაზე—30, იაროსლავლისაზე 28,9, ტომსკისაზე—27, ყაზანისაზე—29,4, სანხრეთ-აღმოსავლეთისაზე 27,4 პროცენტი და სხვ.

ამგვარად ჩვენს უსაჭიროეს ლიანდაგზე ყოფილა 26—27 პროცენტზე მეტი გაფუჭებულ ორთქლ-მატარებლებისა. ასეა საქმე ოფიციალური დოკუმენტებით. კერძო ცნობით კი, დონეცკის რკინის გზამ რომ 29 პროცენტი აჩვენა გაფუჭებულ ორთქლ-მატარებლებისა, ნამდვილად აღმოჩნდა 40 პროცენტი.

ასევე შეუყენებლად მატულობს გაფუჭებულ ვაგონების რიცხვი, რომელიც უკვე ავიდა 8 პროცენტამდე.

კორესპონდენცია

წარმოდგენა ხარაგოულში.

დ. ხარაგოული (შორაპნის მაზრა). 9 იგლისს, ამ დაბაში გაიმართა აქაური თეატრის სასარგებლოდ სალიტერატურო საღამო სეირნობით. საღამოს დაწყებისას მოკლე და შინაარსიანი სიტყვა წარმოსთქვა შ. თაბუკაშვილმა თეატრის მნიშვნელობის შესახებ... მერე მიმართეს საზეიმო სიტყვებით ხალხს ტ. თაბუკაშვილმა, ხ. ჩიხლაძემ და ვ. ალაბიძემ. შემდეგ წარმოადგინეს ერთ მოქმედებიანი ვოდევილი „სტუდენტი იუბკაში“, რომელიც დადგმული იქნა ბ. ბოკორაშვილის მეთაურობით.

სეირნობის დროს ტკრავდა ხაშურის დეპოს მუსიკა. ბოლოს გაიმართა ვახშამი, რომელიც მხიარულად დასრულდა. ერთი სიტყვით ხალხი მადლიერი დაიშალა, რისთვისაც მადლობის ღირსნი არიან ამ საქმის მომწყობნი.

აგრეთვე მადლობის ღირსია მამა დეკანოზ რომანიზი, რომელმაც დაუთმო საღამოს თავისი ბაღი.

ვანო.

წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

გთხოვთ თქვენი პატივცემულ გაზეთის საშუალებით ყურმესი მადლობა გამოუცხადოთ შემდეგ პირთ: მ. კავკასიძეს, ქ. კავკასიძეს, ე. ავალიშვილს, ოლ. გუდიაშვილს, ლ. ზამუკაშვილს და გ. მარინაშვილს, რომელთაც არ დაიშურეს შრომა და საქ. ეროვ.-დემოკრატ მოწაფეთა თბილისის კომიტეტის სასარგებლოდ გამართეს საღამო დ. ფასანაურში მკათათვის 15-ს და წმინდა შემოსავალი ოთხმოცი მანეთი (80 მან.) მთლიანად გადასცეს მოწაფეთა კომიტეტს.

საქ. ეროვ.-დემოკრ. მოწაფეთა თბილისის კომიტეტის თავმჯდომარის მაგიერი **მ. ლოლობერიძე.**

—

„საქართველოს“ № 56 მოთავსებული ჩვენ-მიერ გამოგზავნილი **არტანი**დან დეპეშა იმდენად გადამახინჯებული იყო, რომ იმის გარდა რომ ვერ ვიცანით, თავი უხერხულად ვიგრძენით ადგილობრივ ეროვნებათა წარმომადგენელებთან, რომელთაც ისეთი თანაგრძნობა გამოხატეს ჩვენ თავშესაფერ—სკოლისადმი...

ჩვენ დეპეშით გატყობინებდით: „არტანი. გრშინ, (ე. ი. 16 მკათ.) აქ დიდის ზეიმით გაიხსნა თავშესაფარი და სკოლა ქრისტ. და მაჰმადიან შვილთათვის, რომლის გახსნასაც დაესწრნენ ადგილობრივ და შორიდანაც მოსულნი ყველა ერის წარმომადგენელნი და ეგრეთვე დროებით აქ მყოფი მეცხვარე თუშები. დამსწრეთ, (და არა თუშებმა), ნიშნად თანაგრძნობისა, გაიღეს 1.100 მანეთამდე, ყოველთვიურ დაპირებულის გარდა. დღესასწაულს გულითადი გაერთიანების ხასიათი ჰქონდა.“

გთხოვთ ეს ცნობა მახლობელ ნომერში შეასწოროთ.

უმდაბ. პატივისცემ. **გ. ხალარიძე.**

—

„სენაკის რაიონის მასწავლებელთა საორგანიზაციო ბიუროო გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ მან 22 ივლისს, გადასწყვიტა გამართოს ქ. ახალ-სენაკში საზაფხულო კურსები სახალხო მასწავლებელთათვის 7 აგვისტოდან. მასწავლებელთ მიეცემათ უფასოთ მხოლოდ ბინა (ულოგინოთ), ჩაი, შაქარი და პური. მსურველნი უნდა გამოცხადნენ 7 აგვისტოს ახალ-სენაკის უმაღლესი პირველ დაწყებითი სასწავლებლის შენობაში,

ბიუროს მდივანი **მ. თათარიშვილი.**

რედაქტორი **გრიგოლ ვეშაპელი.**

თბილისის ქალაქის გამგეობის ხმოსნების არჩევნები

30 ივლისს, დილის 9 საათიდან საღამოს 9 საათამდის 85 ალაგას მოხდება.

არჩევნები მოხდება შემდეგ ადგილებში:

1. საბურთალოში—ჭიჭინაძის სახლში.
2. ვაკეს შესახვევში—ფანჯარაძის სახლში.
3. ვაკეს პროსპექტზე—ქართულ გიმნაზიაში.
4. ოლღას ქ. 52—ქალაქის სკოლაში.
5. ანასტასიევის ქ.—მე-4 საქალებო სასწავლებელში.
6. იზმაილოვის და ბელინსკის ქ.—ხასან ჯალალოვის სახლში.
7. გუნიბის ქ.—ზემლ. მერ.“ სასწავლებელში.
8. კირპიჩნი შესახვ.—1 სასამართლო განყოფილებაში.
9. სვიატოპოლკმირსკის ქ. № 5.—განათლების სკოლაში.
10. საბურთალოს თეატრში.
11. ვარიაგინის ქ.—სამეურნეო საზოგადოებაში.
12. გოლოვინის პროსპექტი—არტისტიულ საზოგადოებაში.
13. გოლოვინის პროსპექტი—სახაზინო თეატრში.
14. ოლღას ქ. და ვერის შესახვევი—მინიატიურის თეატრში.
15. პატარა სუდებნის ქ.—ღარიბთა თავ-შესაფარში ზუბალაშვილის სახელზე.
16. სუდებნაია — საოლქო სასამართლოში.
17. გოლოვინის პროსპექტი—1 სავაჟო გიმნაზიაში.
18. შუკოვსკის ქ.— პროფესიონალურ სკოლაში.
19. ლერმონტოვისა და ველიამინოვის ქუჩა—მე-3 სავაჟო გიმნაზიაში.
20. ბებუთოვის და კოჯრის შესახვევი—მე-2 პუშკინის უბანში აფრიკანის სახლში.
21. სომხის სემინარია—სახელოსნო გამგეობაში.
22. სავაჭრო ბირჟაზე, პუშკინის პასაჟი კათოლიკეთა ქ.—საეკლესიო სახლში.
23. კათოლიკეთა საეკლესიო სკოლაში, კათოლიკების ქ. და ეკლ.
24. აბას-აბადის მოედანი—სომხის საქველ. საზოგ.
26. მუსულმანების აუდიტორია ვანისა და ტოტანიურ ქ.
27. ვანის ქ.—სასურსათო დუქანში.
28. სურფ-სარქისის ქ.—პუშკინის საქალაქო სკოლაში.
29. ვორონცოვის ქ.—ტოლლეს ქარხანაში.
30. თელავის ქ. მურაშკოს თეატრში.
31. კახეთის და ავლაბრის ქ. ქალაქის ფურნეში.
32. კახეთის ქ. სახლი № 60 პირველ დაწყებით სკოლაში.
33. ავლაბრის ქ. ხარაზიანის სახლი № 25.
34. კახეთის ქ. ბოლო ნავთის მრეწვ. ამხ. კანტორაში.
35. კახეთის შოსე და ნიჟე-გოროდის პოლკის ყაზარმებში განმანაწილებელ პუნქტში „რასპრედელნიტელნი პუნქტი“.
36. რეიტეროვის ქ. ნადეჟდინის თავშესაფარში.
37. სასალახოს ქ. კირაკოვის სახლი № 15. ბიბლიოთეკის შენობაში.
38. ლაზარეთის ქ. და კახეთის მოედანი „მეგოს“ შკოლაში.
39. მარინის ეკლესიის სკოლაში.
40. პეტრეპავლეს ქ. არაქსიანის ავლაბრის თეატრში.
41. ლაზრევის ქ. № 67. ცარიელ მაღაზიაში.
42. ქალაქის სამინისტროს შკოლაში მელიკ-ბეგლიარევის სახლი.
43. პეტრეპავლისა და ენირიკოვის ქუჩებზე მე-5 სავაჟო გიმნაზიაში.
44. კახეთის ქ. ავლაბრის კლუბის საზამთრო დარბაზში.
45. ტერ ხაჩატურიანის ახალ დუქნებში წყლის გასანაწ. კრანის ახლოს უსახელო ქუჩაზე.
46. 19 თებერვლის ქ. 1 კომერც. სასწავლებელში.
47. ჩუღურეთის საქალაქო სკოლაში პანასევიჩის ქ. 29.
48. სუპ-კარაპეტის დაბლობში მე-4-ე სასამართლოს განყ. დარბაზში.
49. დესიმონოვის ქ. მალაკანთა სკოლა.
50. მეჯევეი და პროექტ. ქუჩები ალტმანის სახლში.
51. მიხეილის პროსპ. სახელოსნო კლუბის საზაფხულო დარბაზში.
52. მიხეილის ქ. კათოლიკეთა ეკლესიის სკოლაში.
53. კომეტის ქარხანაში, ლიუტერანის ქუჩა.
54. საქალ. სკოლა პეტრე დიდის სახელობისა, ჩერქეზიშვილის ქუჩა № 29.
55. მე-3 სამოსამართლო განყოფილება, ტურგენევის ქ.
56. წმ. ნინოს ეკლესიის სკოლა, პიატიგორსკის ქ.
57. მუშათა კლუბი, ნადიროვკა, ანტონიევის ქ. ბოლოში.
58. ერეკლეს სახელობის საქალაქო სკოლაში, მიხეილის პრ. 156.
59. ძმ. ზეინალოვების თამბაქოს ქარხანაში, ელისაბედის და ბატარეინაია ქ.
60. ენფიანჯიანცის ქარხანა, ვაგზლის ქ. № 6.
61. საეპარქიო სასწავლებელი, ანდრეევის ქ.
62. ავჭალის აუდიტორიაში, ავჭალის მოედანი.
63. საარტისტო საზოგადოების საზამთრო შენობაში, მიხეილის პროსპ.
64. ხახლოხ სახლში, დიდი მთავრის ქ. და კირიჩნის ქიმი.
65. ლოტკის ქუჩა № 24/ა სახლი მეტეხელოვისა.
66. ს. ბაბა-ალავეროვისა, ნაძალადევი, ლოტკის ქ. ხევს გაღმა.
67. თეატრი „ნაძალადევი“ ჩერქეზიშვილის ქ. ბოლო.
68. ქალაქის სათორნეში შანგუას ს. აფანასიევის ქ.
69. ასანაშვილის სახლში, მუშათა და დურგალთა ქ.
70. ქალაქის სკოლაში, ჩერქეზიშვილის ქ. 100.
71. მოსოლოვის ქ. ვლადიმერის ქ. 67.
72. ამხ. „სვეტის“ კანტორაში უსახელო „ტუპიკში“, რომელიც ჩერქეზიშვილის ქუჩის გაგრძელებაა.
73. ბავშვთათვის მზრუნველ საზოგადოების სკოლა, დიდუბის და დუნდუკ-კორსაკოვის ქ.
74. საჯირითო მოედანის შენობა. ელისაბედის ქ.
75. რკინის გზის სასწავლებელში, შერემეტიევის და სოხუმის ქუჩებზე.
76. საბადოსნო სკოლაში, მუშტაიდის შესახვევი.
77. რომ-კათოლიკეთა სკოლაში, ფუთის ქ. 27.
78. შინამრეწველობის კომიტეტში, „მუშტაიდის“ ბაღში.
79. საკომერციო სასწავლებელი პეტრაშევსკისა, მიხეილის პროსპ.ქ.
80. ავჭალის წყალსადენში, ავჭალაში.
81. არსენალში.
82. სამხედრო ჰოსპიტალში.
83. ქალაქის ახალ სასაკლაოზე.
84. სადგ. „თბილისში“ მიმავალ ამომრჩევლებისათვის, რომელნიც რკინის გზაზე მსახურებენ.
85. ს. ნავთლუღში—იმისთანავე მოსამსახურეებისათვის.

მაჰმადიან ქალებისთვის დაარსდა კომისია, რომელშიაც მხოლოდ მაჰმადიანი ქალები არიან:

1. მუსულმანთა აუდიტორიაში. 2. სასურსათო დუქანში, აბანოს ქუჩა. 3. პუშკინის ქალაქის სკოლაში, სურფ-სარქისის ქ. და 4. ტოლლეს ქარხანაში. ლაზარეთებსა და ციხეებში მოძრავი კომისიები და ურნებია დაარსებული.

საარჩევნო დარბაზში შესასვლელად ყოველი ამორჩეველი მოვალეა წარადგინოს საარჩევნო ბარათი, უამბარათოდ არავის შეუშვებენ საარჩევნო დარბაზში. საარჩევნო ბარათები დაეგზავნა სახლებში ყველას, მაგრამ ვისაც არ მიუღია, მას შეუძლიან მიიღოს თავის სამილიციო უბანში 27, 28 და 29 ივლისის განმავლობაში დილის 9 ს.—2 საათამდე და საღამოს 5-დან 9 საათამდე. ბარათების მიღება შეიძლება შემდეგს ადგილებში:

1 სამილიციო უბ. ოლღას ქ. ქალაქის სკოლაში, № 52, ს. მაჩაბლისა.

მე-2 სამ. უბ. საარტისტო საზ. საზამთრო შენობაში.

მე-3 სამ. უბ. მე-3 ქალთა გიმნაზიაში.

მე-4 სამ. უბ. ეგზარხოსის მოედანზე, სახელოსნო სკოლაში.

მე-5 სამ. უბ. ქალაქის საავადმყოფოში, ვორონცოვის ქ.

მე-6 სამ. უბ. ნადეჟდინის პრიუტში, რეიტერის ქ.

მე-7 სამ. უბ. ავლაბრის კლუბის საზამთრო შენობაში.

მე-8 სამ. უბ. 1 საკომ. სასწავლებ. შენობა, ნიკოლოზის ქ.

მე-9 სამ. უბ. პეტრე დიდის საქ. სკოლა, ჩერქეზიშვილის ქ. 29.

მე-10 სამ. უბ. სახალხო სახლში, კიროჩნი ქ.

მე-11 სამ. უბ. პავლოვის ქ. სასურსათო კომიტეტი.

მე-12 სამ. უბ. სატეხნიკო სასწავლებელში, შერემეტევის ქ.

საარჩევნო ბარათებთან ერთად ამომრჩეველს დაურიგდებოდათ საარჩევნო კომიტეტის ბეჭედ-დაკრული ცალიერი კონვერტები. ამ კონვერტებში უნდა ჩაიდვას საარჩევნო ბიულეტენი და ისე ჩააგდებენ საარჩევნო ყუთში. თუ ურნაში აღმოჩნდება ბეჭედ-დაუკვრელი კონვერტები, ისინი გაბათილდება და ასეთი ხმები იკარგება. ამიტომ მიღებული საარჩევნო კომიტეტის ბეჭედ-დაკრული კონვერტები ამომრჩეველებმა უნდა კარგად შეინახონ და მხოლოდ იმისათვის მოიხმარონ, რისთვისაც მიცემულია.

საარჩევნო ბარათს აქვს ჩვეულებრივ საწერ ქაღალდის მერვედის ზომა. იმაზე უნდა აღნიშნული იყოს ნომერი იმ სიისა, რომელსაც ხმას აძლევთ. ნომერი იწერება ან ციფრით, ან ასოებით. ნომერი შეიძლება იყოს ან დაწერილი, ან დაბეჭდილი სტამბაში, სულ ერთია. გარდა ნომრისა ნება-დართულია საარჩევნო ბარათზე პარტიის სახელის დაწერაც, რომელსაც ხმას აძლევთ. ისეთი ბარათები რომელნიც ღია კონვერტში იქნება, გაურკვევლად დაწერილი, ან ხელმოწერილი, ან ისეთები, სადაც სახმოსნო კანდიდატები იქნება დაწერილი, ან და კიდევ ერთ კონვერტში თუ თითო ბარათზე მეტი აღმოჩნდება—არ ჩაითვლება და ბათილდება. აგრეთვე ბათილდება და იკარგება ისეთი ხმა, რომელიც მიცემულია რამდენისამე პარტიისათვის.

საარჩევნო ბარათს ამომრჩეველი ან წინადვე ჩასდებს კონვერტში და დაბეჭდავს, ან საარჩევნო კომისიაში მიიღებს და იქვე დაბეჭდავს. საარჩევნო კომიტეტის ბეჭედ-დაკრულ კონვერტში. დაბეჭდილი კონვერტი გადაეცემა პირადად კომისიის თავმჯდომარეს, რომელსაც ამომრჩეველის თვალწინ ჩააგდებს მას საარჩევნო ყუთში.

1—715—1

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის პირველი უბნის კომიტეტი

გადავიდა **ახალ ბინაზე**, ფრეიდინის ქუჩა № 12. ქართულ საადგილ-მამულო ბანკის პირდაპირ. ღიაა ყოველ დღე დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდინ და საღამოს 7—9 საათამდინ, ვსთხოვთ წევრებს და თანაგრძნობელთ ამ დროს განმავლობაში მობრძანდნენ ხოლმე ცნობების მისაღებად. წევრებათ ჩასაწერად და ყოველ თვიური გარიასახადის და შეწირულობის შემოსატანად. ყოველგვარი ცნობების მიღება და წევრად ჩაწერვა შეიძლება აგრეთვე „საქართველოს“ რედაქციაში ბ-ნ. **ევგენი იაკობის ძე გიგიჩკორთან.**

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მე-6—7 უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ წევრთა მიღება და ჩაწერვა შეიძლება ყოველ დღე დილის 11—3 და საღამოს 5—7-დე ტუჩკოვის ქუჩა № 5, სახლი კოზიმაშვილისა.

10—718—1

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მე-8 და მე-9 უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს უბანში მცხოვრებ თანამგრძნობთა საყურადღებოთ, რომ პარტიის წევრათა ჩაწერვა შეიძლება ყოველ დღე დილის 8—2 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე მესამე მომრიგებელ მოსამართლის ბინაზე (ტურგენევის ქუჩა, სახლი № 4) **კომიტეტის მდივან ვ. ყიფიანთან.**

751

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის X და XII უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს უბანში მცხოვრებ თანამგრძნობთა საყურადღებოდ, რომ პარტიის წევრად ჩაწერა შეიძლება ყოველ-დღე საღამოს 6—11 საათამდე ახალ საკრებულოს (ხარეულის კლუბი) ბინაზე კომიტეტის დროებით თავმჯდომარე დ. დუმბაძესთან და კლუბის ბუჰგალტერ კალატოზიშვილთან.

10—742—10

პარასკევს, 28 ივლისს, საღამოს 6 საათზე, ქართველთ სამხედრო კავშირის კლუბში (ყოფილი ქართული თეატრი) მოხდება

ქართველთ სამხედრო კავშირის თბილისის წევრთა და თანამოაზრეთა საერთო კრება

დღის წესრიგი:

1) კომიტეტის მოხსენება,
2) მიმდინარე მომენტი,
3) საორგანიზაციო საკითხი,
4) მოხსენება ქართველ მხედართა დელეგატების საერთო ყრილობის შესახებ.

ქართველთ სამხედრო კავშირის კომიტეტი.

3—713—3

ექიმები

ალ. ალექსიძე
მოსე ანთიმოზის ძე
კალანდარიშვილი
უმფროსი ექიმი ოს. კოდეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებებიან ავადმყოფებს იღებს
მანგლისში
საკადეტო კორპუსის ბანაკში

ექიმი
გ. გ. მუსაძე
იღებს სადილობამდე ავადმყოფთა
საღამოს 5-6 ს.-მდე, კვირა დღეს გარდა.
მიხამართა: დიდი მთავრის ქუჩა № 67;
ოფიციერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ; სახლი სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

ექიმი კბილისა
ე. ივ. გალარჯაშვილი-მათეშვილისა
იღებს ავადმყოფებს:
დილით 9—2 საათ. საღ. 5—7 საათ.
ჩერქეზიშვილის და რეუტოვის ქუჩის კუთხე № 20.

ექიმი
მ. დ. ნინაგლოვრიშვილი
ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის თერაპევტიული კლინიკისა. **შინაგანი სნეულებანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულ. სპეციალურად იღებს საღ. 5—7 საათამდე**
ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა.
ნიხეილის პროს. № 36, მეორე სართული.

ექიმები
მ. ი. ჯაბნაძე
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს შუადღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბელინსკის ქ. № 4. (ტ.—302—)

ექიმი
ე. ლ. ფალავერიძე
იღებს სამეანო და საშვილოსნოს ავადმყოფთა საღამოს 5—7 საათამდე.
მიხამართა: პეტროგრადის ქუჩა № 7.

ექიმი
მ. ფ. ბგალოგლიშვილი
ქალებისა და საქირურგიო სნეულებით ავადმყოფთა საღამოს 5—7 საათამდე.
მიხამართა: ოლღას ქუჩა № 41, ზემო სართული, ტელ. 9—53.

ექიმი
ა. დ. კეკელია
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოობით 6-დან 8-მდე. კანის, ვენერიულს და ათაშანგით (სიფილისი) (606-ს და 914-ს შეუხაპნენება) ავადმყოფებს. მიხეილის პროსპექტი № 116.

(თ—703—4)

ექიმები
მ. ბ. ბეფხაძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ ლინიკის ორდინატორად ნამყოფი, იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 8—5 საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიგზდის ქუჩა, № 19.

მაისის 7-დან გამოდის ქართველ სამხედრო პირების თანამშრომლობით გაზეთი

„ჯარის კაცი“

გაზეთი წლის დამლევამდე ღირება 4 მან. 50 კაპ. ცალკე ნომერი 5 კაპ. წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს მემდეგი მისამართით: г. Тифлисъ. Редакція газ. „Джарисъ Каци“. Почтовый ящикъ № 190

რედაქცია და კანტორა მოთავსებულია სასაბლის ქუჩაზე № 5 და ღია არის დილის 10—2 ს. და საღამოს 7—8 ს.

10—740—8 რედაქტორ-გამომცემელი კ. ცქიტიშვილი.

თეზის ბრძოლნი ამ. ქეგველოვები

ბუბუნინის ქუჩა, ბაკურიანი ხაბ., № 8. ტელეფონი № 112.

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და ალეგრინ სახლ. „ლ. ბალალაევა-ალეგრ, ხარეულეულებიდან ახალი ქვირითის ბიზიდაგა, ბაკირე ბალიანი, შავი „ბელუგა“ ბიზიდაგა. მიგიღეთ საუკეთესო ხალიანის შაბალეი ბუდმიე გვაქვს ცოცხალი თევზი. აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ბუთი, თარეი, ფორეი და ლოქი, გვაქვს ალეგრეგვ მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საბერძენ-ბარგოთის ფირმებისა ბაბერძული ინახვა. (ფ.)